ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 23 მაისი, 2018 №120 (7665) ფასი: 50 თეთრი

ქუთაისის მე-17 ბაგა-ბაღში ქვეწარმავალი ნახეს

გვ.5

22 მაისიდან

ნაიო მარში

კაცი იწვა მკვდარი

სერია ნამდვილი დეტექტივი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

ლაშა ჩხარტიშვილი: „საქართველოში ივანიშვილის რეჟიმი მალე დასრულდება“

გვ.3

ბიძინა ივანიშვილი ეთამაშება საზოგადოებას. ის მთელი ამ დროის განმავლობაში ხან ერთ ჯგუფს წამოსწევს წინა პლანზე, დაასაქმებს და დაარქმევს მთავრობას, ხან მეორეს, მათ შორის, პრემიერ-მინისტრებსაც. ქვეყანას მართავს ეს ერთი კაცი და ვის დაარქმევს მთავრობის წევრებსა და ვის – პრემიერ-მინისტრს, ამას მნიშვნელობა არ აქვს. ამით არაფერი იცვლება. გადაწყვეტილებებს მხოლოდ ეს ერთი კაცი იღებს.

თამარ კორძაია: „ნარკომომხმარებლებს სახელმწიფომ უნდა უმკურნალოს“

გვ.2

სახელმწიფომ უნდა შექმნას რეაბილიტაციის ცენტრები. სახელმწიფომ უნდა შექმნას პირობები იმისთვის, რომ ადამიანმა, რომელსაც უნდა და სჭირდება რეაბილიტაცია, იცოდეს, სად მივიდეს და სად მიიღებს ამ ტიპის მომსახურებას.

„პარლამენტში ნარკოპოლიტიკაზე იმიტომ ვერ თანხმდებიან, რომ იქ დიდი ფული ტრიალებს“

სამართალი გვ.7

ჟურნალისტ ნათია კობერიძეს წამებითა და გაუპატიურებით ემუქრებიან

„ვინმე ვახტანგ ჯაბანაშვილმა მუქარის რამდენიმე მესიჯი მომწერა“

„გამიკვირდა, კლუბთან რატომ დამიბარა? პოლიცია წარსულით აშანტაჟებდა“

რას აცხადებს ნარკორეალიზაციის ბრალდებით დაკავებული 23 წლის ბორის დარახველიძე და ვინ არის აზიტა ზაკერი

ეკონომიკა გვ.6

„ხშირად მედიკამენტებზე ფასნამატი 1000%-ს აჭარბებს“

„მნიშვნელოვანი მიზეზი, რის გამოც მედიკამენტები ძვირია, ადგილობრივი წარმოების არქონა და იმპორტზე დამოკიდებულებაა“

რა გავლენა მოახდინა ახალმა რეგულაციებმა სამშენებლო სექტორზე

ISSN 1987-9385

5 თბილისში გრძელი სამარშრუტო ხაზები, შესაძლოა, გაუქმდეს

2 „ვუსამძიმრებთ მოსამართლეს მამამთილის გარდაცვალებას“ — რაში იყენებს სასამართლო ვებგვერდს

5 რევაზ ვაშაკიძე: „ქათმის ხორცზე მყიდველს ყველანაირი ინფორმაცია უნდა ჰქონდეს, თუმცა ქვეყანაში ამის დაცვა არ ხდება“

4 ლექვინაძე: „ბიზნესომბუდსმენი მხარს ვერ დაუჭერს იმ ბიზნესს, რომელსაც ნარკობიზნესი ჰქვია“

თამარ კორძაია: „ნარკომომხმარებლებს სახელმწიფომ უნდა უმკურნალოს“

ნათია ხურცილავა

რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, იურისტი თამარ კორძაია, „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ნარკოპოლიტიკაზე საუბრობს.

– ქალბატონო თამარ, „ქართული ოცნების“ წევრები და ბიძინა ივანიშვილი პარტიის ოფისში შეკრებილნი იყვნენ და ნარკოპოლიტიკაზე მსჯელობდნენ. გუნდში პოზიციები ერთგვაროვანი არ არის. როგორ შეიძლება, მოვლენები განვითარდეს, შეიცვლება არსებული ნარკოპოლიტიკა?

– ჩვენ, რესპუბლიკელებს, ძალიან დიდი ხანია, რაც ჩვენი პოზიცია გაცხადებული გვაქვს ამ საკითხთან დაკავშირებით. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ უნდა არსებობდეს ნარკომომხმარებლებთან მიმართებით. რაც შეეხება მარიხუანის მომხმარებლებს, მათ მიმართ სრული დეკრიმინალიზაცია უნდა მოხდეს. სახელმწიფო მრავალმხრივად უნდა მუშაობდეს და უნდა აკონტროლებდეს ნარკოტიკების შემოდინებას ქვეყანაში. თუ აქამდე მივა „ქართული ოცნება“, ძალიან კარგი იქნება, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია ბიძინა ივანიშვილის ნება.

– ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ მომხმარებლების მიმართ ჰუმანური პოლიტიკა უნდა იყოს, რეალიზატორების მიმართ კი მკაცრი მიდგომა უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს.

– თუ ეს იქნება ბიძინა ივანიშვილის ნება, მაშინ ეს ასეც იქნება. კონსერვატორები ნარკოპოლიტიკის ცვლილების მოსისხლე მტრები არიან, მაგრამ, როდესაც გიგა ბუკია განცხადებას აკეთებს, რომ მისი და კონსერვატორების პოზიცია შეიძლება შეიცვალოს, ეს ცალსახად ნიშნავს, რომ ის ბიძინა ივანიშვილს ემორჩილება, ემორჩილება ივანიშვილის ერთპიროვნულ ნებას. ეს ძალიან მარტივად გასაგები ამბავია.

სამწუხარო ამ ყველაფერში იქნება ის, რომ ერთი ადამიანი უნდა წყვეტდეს, რა არის გასაკეთებელი და არა – გონივრული მსჯელობა და მოქალაქეების მიერ გამოხატული პოზიცია, ზოგადად რაც არის მსოფლიო პრაქტიკაში გააზრებული, მისაღები და მიღებული. თუ შეიცვლება არსებული პოლიტიკა, ცუდი არ იქნება. ვნახოთ, დაველოდოთ შედეგებს.

– თქვენ ეჭვი გეპარებათ, რომ შეიცვლება? კობახიძემ თქვა, რომ კენჭისყრა ღია იქნება. ეს რაზე მიანიშნებს?

– კენჭისყრა რომ ღია იქნება, ეს მიანიშნებს იმაზე, რომ ბიძინა ივანიშვილი გააკონტროლებს, მისი ნების შესაბამისად მიიღეს მონაწილეობა კენჭისყრაში უმრავლესობის წევრებმა თუ არა. ივანიშვილმა უნდა გააკონტროლოს საპარლამენტო უმრავლესობის

წევრები. ეს ნიშნავს იმას, რომ ის არ ენდობა საკუთარი გუნდის წევრებს.

– ნარკოდამოკიდებულების მიმართ როგორია მსოფლიო ჯანდაცვის პოზიცია? ალბათ სახელმწიფოს პოლიტიკა მასთან მიახლოებული უნდა იყოს. თქვენი პოზიცია როგორია?

– ეს არის დამოკიდებულება, როდესაც ადამიანი დამოუკიდებლად ვერ ერევა საკუთარ თავს და ის ამ დროს საჭიროებს სახელმწიფოს დახმარებას. ამ დროს სახელმწიფო უნდა დაეხმაროს ამ დამოკიდებულების დაძლევაში ადამიანს. თქვენ და მე პერსონალურად ვერაფერს გავხდებით, შეიძლება ჩვენს მეგობრებს რაღაცაში დავეხმაროთ, ვურჩიოთ, მაგრამ ჩვენ აქ უძლურები ვართ.

– როგორია თქვენი პოზიცია, სახელმწიფომ ამ ადამიანებს უნდა უმკურნალოს, თავის თავზე უნდა აიღოს ეს პასუხისმგებლობა?

– სახელმწიფომ უნდა შექმნას რეაბილიტაციის ცენტრები. სახელმწიფომ უნდა შექმნას პირობები იმისთვის, რომ ადამიანმა, რომელსაც უნდა და სჭირდება რეაბილიტაცია, იცოდეს, სად მივიდეს და სად მიიღებს ამ ტიპის მომსახურებას. რამდენი ხარჯი შეიძლება სახელმწიფომ აიღოს საკუთარ თავზე, ეს დასათვლელია და ამაზე უნდა იყოს შეჯერებული პოზიცია, მაგრამ ჩვენ არ გვაქვს არც არანაირი სარეაბილიტაციო ცენტრი და არც არაფერი, ამიტომ სისტემური ცვლილებები გვჭირდება ამ მიმართულებით. მეტადონის პროგრამა ამას ვერ შველის. სისტემური ცვლილება გულისხმობს როგორც ფსიქოლოგიურ, ასევე სხვა ტიპის სამედიცინო მხარდაჭერას.

– გახარია ზეც უნდა გკითხოთ. ბევრი შეფასება მოვისმინე ამ ხნის განმავლობაში, რომ ის ახალ სტილს ამკვიდრებს, რომ მზად არის, მართლაც შეცვალოს ნარკოპოლიტიკა ქვეყანაში. თქვენი პოზიცია როგორია მასთან დაკავშირებით?

– მე ვფიქრობ, რომ ის ორმაგი სტანდარტებით ესაუბრება საქართველოს მოქალაქეებს, როდესაც, ერთი მხრივ, ბოდიშს იხდის და, მეორე მხრივ, მადლობას უხდის სპეცოპერაციის მონაწილე პოლიციელებს. ეს არც ახალი სტილია და არც იმედისმომცემი ღონისძიებები შინაგან საქმეთა მინისტრის მხრიდან.

– თუმცა, პოლიციამ ეგ ზალტირებული ადამიანები დაა შორა და შუაში ჩადგა, ამაზე რას იტყვით?

– არანაირი ეგზალტირებული არ ყოფილა, იყვნენ მშვიდობიანი მომიტინგე ადამიანები და იყო მოძალადეების შეკრება, რომლებსაც არავითარი მოთხოვნა არ ჰქონდათ, მათი ერთადერთი სურვილი იყო, რომ მშვიდობიანი მომიტინგეები ეცემათ. როდესაც შინაგან საქმეთა მინისტრი ტოლობის ნიშანს სვამს მოძალადეებსა და სავარაუდო მსხვერპლს შორის, ეს უკვე არის ძალადობის მხარდაჭერა მინისტრის მხრიდან.

არ შეიძლება, ერთმანეთს გაუთანაბრო ადამიანი, რომელიც მშვიდობიანად მოდის, თავის პროტესტს გამოთქვამს, ცეკვავს და მეორე მხარე, რომელიც ცემით ემუქრება ადამიანს, რომელიც თავის აზრს მშვიდობიანად გამოთქვამს. ცხადია, ორივე ამ ქვეყნის მოქალაქეა, მაგრამ ერთი არის პოტენციური დამნაშავე, მეორე კი – პოტენციური მსხვერპლი. თუ მათ შორის ტოლობის ნიშანს დავსვამთ და ვიტყვით, რა ვქნათ, ჩვენი მოქალაქეები არიან, მაშინ ჩვენ ციხეებში უამრავი ადამიანი გვყავს დამნაშავე და გამოვუშვათ, ისინიც ჩვენი მოქალაქეები არიან.

– პარლამენტში მისვლაზე რას იტყვით?

– ეს იყო ვალდებულება, რომელიც მან ასევე გამოიყენა საკუთარი პოზიციების განსამტკიცებლად. მან პარლამენტში მისვლით კი არ წაადგა, მოიგო, მთელი დღის განმავლობაში უმრავლესობა მორჩილად უკრავდა ტაშს.

„ქობულეთში მოგვარეების დაქორწინების გამო მათ მოკვლას ითხოვდნენ“

სხვადასხვა წყაროს ინფორმაციით, ქობულეთის მუნიციპალიტეტში ერთისა და იმავე გვარის ახალგაზრდების დაქორწინების გამო გვარის უფროსები „სირცხვილის ჩამორეცხვის“ მიზნით მათი მშობლებისგან ორივე მათგანის მოკვლას ითხოვდნენ.

– მომხდარით აღშფოთებულმა გვარის უფროსებმა მშობლებს მოსთხოვეს, გვარმა სირცხვილი რომ ჩამორეცხოს, ორივე მოკალითო. ქალის მამას გვარის მოთხოვნისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია, ბიჭის მამამ კი უარი თქვა – შვილს ვერ მოვკლავო. მერე შეთანხმდნენ, რომ ახლადშეუღლებულები აჭარაში აღარ იცხოვრებდნენ და დაატოვებინებდნენ იქაურობას, – უთხრეს ადგილობრივებმა „რეგინფოს“.

„რეგინფოსთვის“ ცნობილია საქმის სხვა დეტალებიც, თუმცა კონფიდენციალობის დაცვის მიზნით მათი მოყოლისგან თავს ვიკავებთ.

გვარის უფროსი არ ადასტურებს ინფორმაციას, რომ ახალგაზრდების მშობლებს ახლადშეუღლებულების მოკვლა მოსთხოვეს. მეტიც, „რეგინფოსთან“ საუბარში გვარის უფროსმა განაცხადა, რომ ახალგაზრდები არც შეუღლებულან და არასწორი ინფორმაცია გავრცელდა.

იმავე სოფელში მცხოვრებმა, ერთმანეთისგან დამოუკიდებელმა რამდენიმე პირმა, მათ შორის საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულმა პირებმა, დაგვიდასტურეს, რომ მოგვარე ახალგაზრდები ნამდვილად შეუღლდნენ, რასაც მათი გვარის მხრიდან აგრესია მოჰყვა და მშობლებისგან ახალგაზრდების მოკვლას ითხოვდნენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, რომ ამ საქმესთან დაკავშირებით მათთვის არავის მიუმართავს და შესაბამისად, გამოძიებაც არ მიმდინარეობს.

„რეგინფოსგან“ საქმის შესახებ ინფორმაციის მიწოდების შემდეგ, სამინისტროში განმარტეს, რომ პოლიციის თანამშრომლები ორივე ახალგაზრდის მშობლებს შეხვდნენ, გამოკითხეს, რეაგირების ოქმი შეადგინეს და მუქარა არ დადასტურდა. სამინისტროს განცხადებით, ახალგაზრდები ამჟამად სხვა რეგიონში ცხოვრობენ.

საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლით აღიარებულია, რომ ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას.

სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, როდესაც ხორციელდება დაქორწინების მსურველი პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება იმ მიზნით, რომ მან უარი თქვას მისთვის სასურველ პირთან ქორწინებაზე, დანაშაული დაკვალიფიცირდება კოდექსის 150-ე მუხლით, როგორც იძულება.

იძულება გულისხმობს ადამიანისთვის ქმედების თავისუფლების უკანონო შეზღუდვას, ესე იგი მის ფიზიკური ან ფსიქიკურ იძულებას, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის შესრულება ან რომლის შესრულებისაგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება. დანაშაული ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე. იგივე ქმედება, ჩადენილი ჯგუფურად ისჯება გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით თვრამეტ თვემდე.

რეგინფო

„ვუსამძიმრებთ მოსამართლეს მამამთილის გარდაცვალებას“ – რაში იყენებს სასამართლო ვებგვერდს

– ბოლნისის რაიონული სასამართლო ულოცავს ამავე სასამართლოს მოსამართლეს პაატა ფხალაძეს ვაჟიშვილის შეძენას. უსურვებს ჯანმრთელობას, ბედნიერებას, სიხარულსა და უფლის მფარველობას, – ეს ერთ-ერთია იმ განცხადებებს შორის, რომლებიც გუშინ ბოლნისის რაიონული სასამართლოს ვებგვერდიდან წაშალეს მას შემდეგ, რაც „ნეტგაზეთი“ დაუკავშირდა.

2012 წლიდან მიყოლებული ბოლნისის რაიონული სასამართლოს ვებგვერდზე სიახლეების სექციაში სულ 147 ინფორმაცია იყო გამოქვეყნებული, აქედან 41 ეთმობოდა სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებულ სიახლეებს, 106 განცხადება – სასამართლოს თანამშრომლებისადმი მილოცვებსა და სამძიმრებს.

სასამართლოს ვებგვერდი 2012 წელს შეიქმნა იმისთვის, რომ რაიონულმა სასამართლომ საზოგადოებას ინფორმაცია მიაწოდოს ჩატარებული სხდომების, მიღებული გადაწყვეტილებისა და მის საქმიანობასთან დაკავშირებული სიახლეების შესახებ.

ნეტგაზეთი

სალომე ზურაბიშვილი: „ვარდების რევოლუციის მოედანს დამოუკიდებლობის სახელი უნდა ეწოდოს“

– თბილისის საკრებულოში გეოგრაფიული ობიექტების სახელდების ინიციატივების საჯარო განხილვაზე პარლამენტის დეპუტატმა სალომე ზურაბიშვილმა მხარი დაუჭირა წინადადებას, რომ ვარდების რევოლუციის მოედანს დამოუკიდებლობის მოედნის სახელი მიენიჭოს.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ თბილისის საკრებულოდან აცნობეს.

– თუ ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ ის, რაც არის მთავარი ჩვენთვის, ანუ დამოუკიდებლობა, რომლისთვისაც იბრძოდნენ ჩვენი წინაპრები, დამოუკიდებლობის მოედნის სახელი მივანიჭოთ ამ მოედანს, – განაცხადა დეპუტატმა.

მისივე თქმით, წინა ხელისუფლება ცდილობდა ისტორია ვარდების რევოლუციიდან დაეწყო.

– არც ვარდების რევოლუციიდან და არც 100 წლის წინანდელი რესპუბლიკიდან არ უნდა დავიწყოთ ისტორია. ჩვენი ქვეყნის ისტორია მრავალსაუკუნოვანია. 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობა აღდგა. ვინც 1921 წლის ოკუპაციის შემდეგ იბრძოდა, ყველას მიზანი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის და არა პირველი რესპუბლიკის ან რომელიმე სხვა წყობის აღდგენა. ამიტომ მომხრე ვარ, რომ ვარდების რევოლუციის მოედანს ეწოდოს დამოუკიდებლობის მოედნის სახელი, – აღნიშნა დეპუტატმა.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ლაშა ჩხარტიშვილი: „საქართველოში ივანიშვილის რეჟიმი მალე დასრულდება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ლაშა ჩხარტიშვილი პასუხობს.

– ლაშა, როგორ აფასებთ ქვეყანაში განვითარებულ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს? ივანიშვილის აქტიურად დაბრუნების შემდეგ ხელისუფლებაში დიდი ცვლილებებია დაგეგმილიო. ასევე საუბრობენ იმაზეც, რომ ძალიან მალე პრემიერი გახარია გახდება. რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე?

– ივანიშვილის მხრიდან სახეზეა საზოგადოების მოტყუების მორიგი მცდელობა. დაბრუნება იყო მორიგი საცირკო შოუ, მეტი არაფერი. მისი წასვლის დღიდან მოყოლებული, ნათელი იყო, რომ ის ამ ორსვლიან კომბინაციას ამზადებდა და ამიტომაც საუბრობდა ხელისუფლების კარგ საქციელებსა და მსგავს სამარცხვინო თემებზე. ის იყო ხელისუფლებაში, მართავდა ხელისუფლების ყველა შტოს. ასე იყო მანამდეც, სანამ თავმჯდომარის პოსტს კვლავ დაიკავებდა. შესაბამისად, ამით არაფერი ახალი არ მომხდარა, უბრალოდ, საზოგადოების მცირე ნაწილის დაიმედებას ემსახურებოდა მისი „მობრუნება“ ხელისუფლებაში.

– გახარიაზე რას იტყვით?

– რაც შეეხება გახარიას, კი ბატონო, გეთანხმებით, რომ აშკარად სახეზეა მისი წინ წამოწევის მცდელობა მთელი რიგი შოუს დადგმის ფონზე. მე ეს ყველაფერი თამამად შემიძლია შევაფასო შოუდ და მოვლენების პროვოცირებად.

– შოუ იყო ის ყველაფერი, რა მოვლენებიც განვითარდა?

– რა თქმა უნდა, შოუ იყო. კლუბებთან მიმართებით რა მოვლენებიც განვითარდა, ეს იყო შოუ და, სულ მცირე, წინასწარ პროვოცირებული მოვლენები, რომლებიც შემდეგ განვითარდა. ეს მოსალოდნელიც გახლდათ, იმიტომ, რომ ნამდვილად არანაირი საჭიროება არ არსებობდა ნარკოტიკებთან ბრძოლის მიზნით ამ ტიპის ძალისმიერი ოპერაციის ჩატარებისა. ყველა რეალიზატორი დაკავებული იქნა გარეთ. ცხადი იყო, რომ იქ შევარდნა საპასუხო რეაქციას გამოიწვევდა. ამიტომ, როგორ შეიძლება განვითარებულიყო მოვლენები, ადვილად გასაგები იყო. სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მიზანი.

– ანუ წინასწარ გათვალეს ეს ყველაფერი?

– ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ პროვოცირება იყო მათი მიზანი და ეს მშვენივრად გამოუვიდათ. ერთ-ერთი მოტივი იყო თავის მართლება ხელისუფლების იმ უსუსური პოლიტიკის გამო, რაც ამ კუთხით აქვთ, სავარაუდოდ, მფარველობის გამოც ნარკოტიკებთან მიმართებითაც, მე ვგულისხმობ ნარკოტიკების გასაღებას.

დღეს ძალიან მაღალია ნარკოტიკების მოხმარების მაჩვენებელი. საქართველოში ნარკოტიკების შემოდინება ხელისუფლების მფარველობის გარეშე ყოვლად წარმოუდგენელია. იმ მაღალი სიკვდილიანობის გადასაფარად, რომელიც იმ დღეებში დაფიქსირდა, ამ შოუს მიზანი ესეც იყო, რომ ამით საკუთარი თავი ემართლებინათ, გამოჩენილიყვნენ ნარკოტიკებთან მებრძოლად. ამ ყველაფერს სხვა მიზანიც ჰქონდა.

– რა მიზანი?

– ეს ოპერაცია მიზნად ისახავდა გახარიას რეკლამირებას, რაც ასევე გამოუვიდათ. თუმცა მე ვერ დავინახე მისი მხრიდან რამე განსაკუთრებული პოზიტივი. თურმე არ გვარბევენ და ამას გვაყვედრიან 6 წელია. როგორც მიხეილ სააკაშვილი გვაყვედრიდა მთელი 9 წელი, რომ შუქი იყო საქართველოში, ასე გვაყვედრის ბიძინა ივანიშვილი, რომ არ გვარბევენ. იმ და ამ ხელისუფლების მიზნები ერთნაირია.

– ნაციონალების მსგავსი?

– დიახ. ეს არის ძალაუფლების მაქსიმალურად გამყარება და რაც შეიძლება მეტი კორუფციული შემოსავლების მიღება სახელისუფლებო უმაღლესი რანგის გზით. უბრალოდ, მართვის სტილია განსხვავებული, უფრო გონიერი და ეშმაკია, ვიდრე მისი წინამორბედი, რომელიც ყოველდღიურად ამას უფრო ხისტად გამოხატავდა და აგრესიულად.

– ესენი?

– ესენი კი უფრო მოქნილები და ცბიერები არიან. გახარია იქნება პრემიერ-მინისტრი თუ სხვა ვინმე, არაფერი შეიცვლება. დღეს ქვეყანაში არის აშკარად გამოხატული ერთპიროვნული მმართველობა და ამ ვერტიკალის თავში დგას ბიძინა ივანიშვილი, რომელიც ხან იკავებს რაღაც თანამდებობას, ხან არ იკავებს. ამგვარი თამაშებით არის დაკავებული.

ის საკუთარი სამარცხვინო, დანამატიჭა-

და მის წინააღმდეგ, უბრალოდ, საზოგადოებას სჭირდება ახალი სანახაობა, ახალი სახეები. პრობლემა ბევრია, ეკონომიკური ფონი – უკიდურესად მძიმე.

– არადა, კეთდება შეფასებები, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით სიტუაცია უკეთესობისკენ იცვლება, დასაქმება გაიზარდა და ასე შემდეგ. ამაზე რას იტყვით?

– თუ იმას გულისხმობთ, რომ დასაქმების მაჩვენებელი 0,01%-ით არის გაზრდილი, ეს სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. შეიძლება ხელისუფლება იმის ხარჯზე ზრდის დასაქმების მაჩვენებელს, რომ მოსახლეობა მცირდება. მათ შორის ქვეყნიდან გადინებულთა რიცხვია მაღალი.

– ამ კუთხითაც საგანგაშო ვითარებაა.

– დიახ, დემოგრაფიული თვალსაზრისითაც რთულადაა საქმე. საუბრობენ დასაქმების ზრდაზე, თუმც ფაქტია, რომ ამ კუთხითაც საერთოდ არაფერი კეთდება. ვერც გაკეთდება იმ ფონზე, როცა ხელისუფლება დაკავებულია საკუთარი ბიზნესების კეთებითა და მათი გამსხვილებით, მცირე ბიზნესს კი საერთოდ კლავენ საკუთარი ჯიბის გასქელების ხარჯზე.

როდესაც მცირე და საშუალო ბიზნესს ებრძვიან, იქ დასაქმების რეალურ ზრდაზე საუბარიც კი ზედმეტია! დიდი იმედი მაქვს, რომ ამ ხელისუფლებას ეს დიდი ლუკმა ყელში გაეჩხირება და ვერ გადაყლაპავს. არ უნდა შევეგუოთ იმას, როცა საკუთარი ქვეყნიდან გვაძევებენ, როცა საკუთარ ქვეყანაში შიმშილით გვკლავენ, საკუთარ ქვეყანას გვიტბორავენ! მე არა ვარ ისეთი პესიმისტი, ვიფიქრო, რომ ქართველები ამას შეეგუებიან. არავითარ შემთხვევაში, ამ ხელისუფლებას ძალიან მალე კუდით ქვას ასროლინებენ! საქართველოში ივანიშვილის ძალადობრივი და ქურდული რეჟიმი ძალიან მალე დასრულდება.0

ივანიშვილის ასწლოვანი მუხის გადასატანად ზუგდიდში შუქნიშნები მოხსნეს

ზუგდიდში, აღმაშენებლისა და ხუბულავას ქუჩების კვეთაზე, შუქნიშნები მოხსნეს. რადიო „ათინათის“ ინფორმაციით, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა განაცხადეს, რომ შუქნიშნების დემონტაჟი ყოფილი პრემიერ-მინისტრის და პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილის ასწლოვანი მუხის გადატანის გამო გახდა საჭირო.

22 მაისს, გვიან ღამით, ჩამოხსნეს, რადგან ხე უნდა გაეტარებინათ და უშლიდა, – ციტირებს



„ათინათი“ ადგილობრივების კომენტარს. მათივე ინფორმაციით, მთელი ღამის განმავლობაში ქალაქს ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში აღნიშნეს, რომ შუქნიშნების მოხსნის მიზეზი მათთვის ცნობილი არ არის. მერიის განმარტებით, აღმაშენებლის ქუჩა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზაა და მას საავტომობილო გზების დეპარტამენტი განაგებს.

ასწლოვანი მუხა, რომელიც იუსტიციის სახლის ყოფილ შენობასთან ახლოს მდებარე კერძო პირის ეზოდან გაიტანეს, ხუბულავას ქუჩაზეა გაჩერებული. სატვირთო მანქანამ რამდენიმეტონიანი ხის გადატანა ვერ შეძლო.

რეგინფო

ილიას ტბაზე სცენის ჩატეხის გამო ფესტივალის მონაწილეები დაშავდნენ

ყვარელში, ილიას ტბაზე, „ფოლკლორის ანსამბლების მე-4 რესპუბლიკური ფესტივალის“ ფარგლებში ცეკვის დროს სცენა ჩატყდა. რამდენიმე ბავშვმა მსუბუქი დაზიანება მიიღო, რის გამოც ანსამბლის ხელმძღვანელმა საცეკვაო ნომერი გააუქმა.

– თბილისიდან ჩამოსულმა ანსამბლმა მომხდარის გამო ცეკვის გაგრძელებაზე უარი თქვა. ბავშვი ტიროდა და ეტყობოდა, რომ ერთი ფეხი დაღურჯებული ჰქონდა. ფიცრებს შორის ფეხი კიდევ ერთ გოგონას ჩაუვარდა. ერთმა ფეხსაცმელი დაკარგა. ცეკვა ფეხშიშველმა გააგრძელა. მშობლები თავზე ვედექით, რომ კიდევ ვინმე არ ჩავარდნილიყო, – უთხრა „რეგინფოს“ ერთ-ერთი მოცეკვავის დედამ.

ილიას ტბაზე ამფითეატრის სცენა რომ გაუმართავია, ამას ყვარლის კულტურული მემკვიდრეობის, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და დასასვენებელი ობიექტების დაცვისა და განვითარების ცენტრის დირექტორი დიმიტრი სოლომნიშვილიც ადასტურებს. ილიას ტბის დასასვენებელ კომპლექსს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ეს ორგანიზაცია მართავს.

დიმიტრი სოლომნიშვილი მომხდარზე პასუხისმგებლობას ფესტივალის ორგანიზატორებს აკისრებს. მისი თქმით, ადგილი ჰქონდა მცირე ინციდენტს, რაც იმითაც დასტურდება, რომ სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახება საჭირო არ გამხდარა.

– უკვე მეოთხე წელია, რაც ეს ფესტივალი ილიას ტბაზე ტარდება. ორგანიზატორი არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს კულტურის განვითარებისა და აღორძინების ცენტრია“. წელს დაახლოებით 1400-მდე ადამიანი მონაწილეობდა მთელი საქართველოდან. სცენა უსასყიდლოდ დავუთმეთ. იქიდან გამომდინარე, რომ 7 წელი გავიდა და შეკეთება სჭირდება, სცენას არ ვაქირავებთ. დათვალიერების დროს ორგანიზატორებს პრეტენზია არ გამოუთქვამთ, – ამბობს დიმიტრი სოლომნიშვილი.

მისივე თქმით, უახლოეს პერიოდში ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია ტენდერს გამოაცხადებს, რის შემდეგაც ამფითეატრის სცენას რეაბილიტაცია ჩაუტარდება.

ყვარლის კულტურული მემკვიდრეობის, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და დასასვენებელი ობიექტების დაცვისა და განვითარების ცენტრი მუნიციპალური ბიუჯეტიდან 150 ათასი ლარით ფინანსდება. გარდა ამისა, ილიას ტბის დასასვენებელ კომპლექსს საკუთარი შემოსავალიც აქვს.

ილიას ტბა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 2011 წლის 18 ნოემბერს გახსნა. ტბას გარშემო 4-კილომეტრიანი ველობილიკი აკრავს. მოწყობილია ტრენაჟორები, ფეხბურთისა და კალათბურთის მოედნები. ილიას ტბაზე ინფრასტრუქტურის ნაწილი უკვე რამდენიმე წელია მნიშვნელოვნად არის დაზიანებული. ზაფხულობით ილიას ტბას სტუმრები კახეთის ყველა მუნიციპალიტეტიდან სტუმრობენ. ილიას ტბა მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ერთადერთი ასეთი კომპლექსია, რომელიც ყველასთვის არის ხელმისაწვდომი.

რეგინფო

ავტომობილმა ძაღლს გადაუარა. გამოძიება დაიწყო

ინტერნეტში გავრცელებულ ვიდეოსთან დაკავშირებით, რომელზეც ჩანს, რომ ავლაბარში ავტომობილმა ძაღლს გადაუარა, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მუხლით და-

იწყო, რაც ცხოველისადმი სასტიკ მოპყრობას გულისხმობს. ძაღლი მრავლობითი დაზიანებებით მოკვდა.

ცხოველთა კერძო თავშესაფრის ხელმძღვანელი, თამაზ ელიზბარაშვილი კიდევ ერთი საჩივრის შეტანას გეგმავს პროკურატურაში მძღოლის წინააღმდეგ, რომელმაც ძაღლს გადაუარა. ძაღლს უკვე ჩაუტარდა ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ ექსპერტიზა, თუმცა ელიზბარაშვილის თავშესაფარი დამატებითი ექსპერტიზის ჩატარებას გეგმავს სიკვდილის მიზეზის ოფიციალურად დასადასტურებლად, რომელსაც სარჩელს თან დაურთავენ.

ცხოველთა დამცველები ინციდენტის ადგილას იმყოფებოდნენ ცხოველისადმი სასტიკი მოპყრობის გასაპროტესტებლად. ისინი კვლავ გეგმავენ აქციების გამართვას მომხდარის დასაგმობად და სამართალდამცველებს მოუწოდებენ, სათანადო რეაგირება მოახდინონ.

აქციის მონაწილეების თქმით, ისინი არკვევდნენ, დაუდევრობით გადაუარა თუ არა მანქანით ძაღლს მძღოლმა, თუმცა ცხოველთა დამცველებს ეს ადამიანი არ შეხვდა.

ნეტგაზეთი

„პარლამენტში ნარკოპოლიტიკაზე იმიტომ ვერ თანხმდებიან, რომ იქ დიდი ფული ტრიალებს“

გულიკო ბალაძე

უზენაესი საბჭოს ყოფილი წევრი თენგიზ დიხამინჯია „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ დღეს ქვეყნისთვის გლობალური საკითხი საქართველოში ნარკოტიკების მასობრივი მოხმარებაა.

თენგიზ დიხამინჯია:

– 3 მილიონზე ცოტა მეტნი ვართ. აქედან მილიონ-ნახევარზე მეტი ქვეყნიდან გასულია. დარჩენილთა შორის 200 ათასი რეგისტრირებული ნარკომანია. ამიტომ ნარკომოხმარება ქვეყნის პირველი პრობლემაა, ერი კვდება. ასეთ ვითარებაში ნებისმიერი ხელისუფლება განგაშის ზარს უნდა რეკავდეს.

ჩინეთს ჰქონდა ანალოგიური პრობლემა. იქ ნარკომანიის გავრცელების პროცესი მეორე მსოფლიო ომამდე და ომის შემდეგ დაიწყო, როდესაც დასავლეთის მაღალჩინოსნები და პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები, როგორც ამერიკიდან და ინგლისიდან, დიდ ბიზნესს აკეთებდნენ ოპიუმსა და მის მოხმარებაზე. უზარმაზარი ბიზნესი იყო.

დასავლურ სამყაროს თავის ქვეყანაში სჭირდება ეროვნული თანხმობა, დემოკრატია, ნარკომანიის აღმოფხვრა, თუმცა ამას სხვა ქვეყანაში არ აკეთებენ და ჩინეთის მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ, პირიქით, ყველანაირად ცდილობდნენ, დაენერგათ ნარკომოხმარება. ჩინეთის ხელისუფლებამ ეს გააცნობიერა და მიზანდასახული, ოპტიმალური და ერთობლივი ქმედებით ბოლომდეა ამოძირკვული.

– ამერიკის ხელისუფლება საქართველოს წინა ხელისუფლებას აკრიტიკებდა ნარკოტიკების გავრცელების გამო. გაეროს მონაცემებით, 8 თუ 10 ტონა ნარკოტიკი შემოდიოდა, აქედან 2 ტონა საქართველოში რჩებოდა.

– ასე იყო, მაგრამ ახლაც იგივე ხდება. თქვენ გგონიათ, ახლა ეგ აღმოიფხვრა?

– შს მინისტრმა განაცხადა, რომ სამი ლოკაცია არსებობს, საიდანაც საქართველოს მოსახლეობაში ნარკოტიკები ვრცელდება – ფონიჭალა, ტრანზიტი და ინტერნეტსაიტები. ფონიჭალაში ძირითადად აზერბაიჯანელები ცხოვრობენ და, როგორც ჩანს, აზერბაიჯანიდან მარაგდებიან. ნარკოდილერები როგორ ახერხებენ ნარკოტიკების შემოტანას?

– როგორ ახერხებენ და უმაღლეს ჩინოსნებში ჰყავთ მხარდამჭერები. ხომ ხედავთ, პარლამენტში ამ საკითხმა რა მიმართულება მიიღო. ტელევიზიებმაც, ფაქტობრივად, ანტინარკოტიკულ პროპაგანდას ლამის ბოიკოტი გამოუცხადეს და ლამის ეროვნულ ტრადიციად გამოაცხადეს და დაიწყო იმის კულტივირება, მეფეები და უფლისწულები ეწეოდნენო, რაღაც რომანტიკულ ბურუსში გაახვიეს, თითქოს ეს მომაკვდინებელი ცოდვა არ არის. სინამდვილეში ნარკომანია საგანგაშოა.

პოლიტიკური პარტიები ღიად უჭერენ მხარს ნარკოტიკების სრულ ლიბერალიზაციას. არსებობს ჰოლანდიური მიდგომა, იქ მარიხუანის მოწევა ნებარდართულია. იქვე ევროკავშირის მონათესავე ქვეყანაში, 50 მეტრში რომ გადახვიდე და ნარკოტიკი მოიხმარო, ჯერ 300 ევროს ჯარიმას მოგცემენ, შემდეგ 500 ევროს და მესამე შემთხვევაზე ციხეში გაგიშვებენ.

რეცეპტი არ არსებობს. გადაწყვეტილება საზოგადოების ნებას უნდა გამოხატავდეს. ეს მხოლოდ პარლამენტზე არ არის დამოკიდებული. დღეს საგანგაშო ვითარებაა, რაც თავიდან ბოლომდე არსებული ხელისუფლების სინდისზეა.

– რატომ არის ხელისუფლების სინდისზე?

– იმიტომ, რომ მისმა დაკომპლექტებულმა საკონსტიტუციო სასამართლომ მარიხუანის გარკვეული დოზებით მომხმარებელი სასამართლოს განსჯადობისაგან გაათავისუფლა, მით უმეტეს, ჯერ კანონმდებლობა არ არსებობს.

– პარლამენტში ამ კანონის საბოლოო ვარიანტზე ვერ თანხმდებიან.

– ვერ თანხმდებიან იმიტომ, რომ მანდ დიდი ფული ტრიალებს, უზარმაზარი.

– იძულებული გახდნენ, ბიძინა ივანიშვილის მონაწილეობით განეხილათ ეს საკითხი, რომ რაღაც ვარიანტზე შეჯერებულიყვნენ, მაგრამ ჯერ ვერ შეთანხმდნენ.

– ვერ თანხმდებიან, რადგან ვერ ზღუდავენ. ჩინეთისა და ჰოლანდიის მაგალითი გითხარით. ფილიპინები ძალიან კარგი მაგალითია. ფილიპინებში დიდი ხანია არის ამერიკის სამხედრო ბაზა. ფილიპინელებს მიღებული აქვთ კანონი, ან სამუდამო პატიმრობას უსჯიან, ან სიკვდილით დასჯას, თუ დაიჭერენ აკრძალული ნივთიერებით. ძირითადად ჰეროინზეა ლაპარაკი.

აშშ-ის პრეზიდენტიც რომ ჩაერიოს, მისი შვილიც რომ იყოს, ისინი ანგარიშს არ გაუწევენ, რადგან მათთვის უპირველესი სახელმწიფო ინტერესებია და არა სტრატეგიული, პარტნიორის გარედან თავსმოხვეული ინტერესები.

– ალბათ, პარლამენტი უახლოეს პერიოდში გადაწყვეტს, რა როგორ უნდა იყოს.

– ეს პარლამენტი და ის ხალხი, რომელიც რუსთაველზე იკრიბება, ამ პრობლემის გადამწყვეტი არ არის.

– ასე რატომ ფიქრობთ?

– იმიტომ, რომ ელემენტარულ რაღაცას ვერ წყვეტენ. მათ არ აქვთ ფილიპინელების მსგავსი სიმტკიცე, რომ უარი თქვან თავიანთი სტრატეგიული პარტნიორის თუნდაც რაღაც განსხვავებულ აზრზე.

– ვინც არის დეკრიმინალიზაციისა და ლეგალიზაციის მომხრე, ისინი უფრო აქტიურობენ, აქციებს აწყობენ.

– იმიტომ, რომ აქ ფულზეა საქმე. მანდ ძალიან დიდი ფული ტრიალებს.

– გასაგებია, მაგრამ დანარჩენი საზოგადოება რას აკეთებს?

– საზოგადოებას ვინ ეკითხება? არჩევნებს არ ატარებინებენ ნორმალურად, აყალბებენ და ნორმალური საარჩევნო კანონი ვერ მიუღიათ.

– არჩევნებს ნუ მოვიყვანთ არგუმენტად. ლეგალიზაციის მომხრეები რომ გამოდიან, გამოვიდეს დანარჩენი საზოგადოება, ვინც ლეგალიზაციის მომხრე არ არის.

– საზოგადოებაც პასიურია, ვერ გაუცნობიერებია, თავისი შვილების მომავალი როგორ უნდა დაიცვას. ეს უნდა იყოს სახალხო მოძრაობა, რომელიც დაგვირგვინდება სასურველი შედეგით. ეს არ არის მხოლოდ პარტიისა და პარლამენტის გადასაწყვეტი.

საკონსტიტუციო სასამართლოს იმ მოსამართლეების თანამდებობაზე დატოვება არ შეიძლება, რომლებმაც მარიხუანაზე გადაწყვეტილება მიიღეს. ეს ადამიანები მე ხომ არ დამინიშნავს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებად. არსებულმა ხელისუფლებამ დანიშნა. როგორ შეიძლება, ამ ადამიანებს ანდო სერიოზული საკითხის გადაწყვეტა.

– ბიძინა ივანიშვილსაც ხომ ექნება სათქმელი: აი, ხალხის უმრავლესობა გამოვიდა, ლეგალიზაციისა თუ მძიმე ნარკოტიკის დეკრიმინალიზაციის წინააღმდეგია და მოითხოვს ამასო. ნარკომომხმარებლების ჭკუაზე უნდა იაროს ხალხმა?

– არა, ეს იქნება მომავლის დასამარება. ამ საკითხის გადაწყვეტაში სამღვდელოება და ინტელიგენცია უნდა ჩაერთონ. ამ მოვლენას, როგორც საკუთარ შვილს, ისე უნდა შეხედო.

– ნარკოდილერები და მათი მფარველები არ უნდა დაინდონ.

– ნარკოდილერების მფარველები გავლენიანი ადამიანები არიან და მთავრობასა და პარლამენტში სხედან. შექმნილი მდგომარეობა მათი ქმედებების შედეგია.

– ჩემთვის რაღაცნაირად დაუჯერებელია, მთავრობასა და პარლამენტში იყვნენ ისეთი პირები, რომლებიც ნარკოტიკების შემომტანებსა და ნარკომოვაჭრეებს მფარველობენ.

– რატომ არის დაუჯერებელი, ყველა მთავრობაში იყვნენ ასეთები. თქვენ მორალიდან გამომდინარე ლაპარაკობთ, მაგრამ მორალს ანგარიშს არ უწევს მთავრობის ძალიან დიდი ნაწილი.

– შს სამინისტრომ ხომ დაიწყო მოძრაობა ნარკოტიკების წინააღმდეგ?

– მათ მანამდე ვერ დავუჯერებ, სანამ თავწყარო არ იქნება აღმოჩენილი. განსაკუთრებით მომაკვდინებელი ნარკოტიკების წყაროები უნდა გადაიკეტოს. მეათეხარისხოვანი ადამიანების დაჭერა და ამაზე პოპულისტური განცხადებები იაფფასიანია. მათ ეს ზღაპრები თავიანთთვის შეინახონ.

– გახარიამ განაცხადა, ეს დასაწყისიაო. გამოძიებას არ აქვს იმის საშუალება, ნარკოტიკების შემომტანებსა და მათ მფარველებზე გავიდეს?

– ამას სჭირდება პროფესიონალი, მართალი და თავდადებული ადამიანები. ასევე ვერავინ შედეგს ვერ დადებს საერთო მიდგომის გარეშე. გარეთ მათ ეყოლებათ ძალიან სერიოზული ლობისტები ზესახელმწიფოების სახით, რასაც სერიოზული საპირწონე სჭირდება, რომელიც ლობისტების გავლენებს გაუძლებს.

ეს არ არის პოპულიზმის თემა, შს მინისტრი გმირად რომ წარმოვსახოთ და პრემიერობისთვის მოვამზადოთ, თუმცა ნიჭიერი ადამიანია და ნორმალური მსოფლმხედველობა გაჩნია.

ამერიკელი სენატორები: აშშ-ის საკანონმდებლო ორგანოს დღის წესრიგში საქართველოს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია

აშშ-ის საკანონმდებლო ორგანოს დღის წესრიგში საქართველოს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ამის შესახებ სენატორებმა რონ ჯონსონმა და კრის მერფიმ საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან გუშინდელი შეხვედრისას განაცხადეს.

შიდა უსაფრთხოებისა და სამთავრობო საკითხების კომიტეტის თავმჯდომარე რონ ჯონსონმა და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ევროპისა და ევრაზიის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე კრის მერფიმ განსაკუთრებით აღნიშნეს ის პროგრესი, რომელსაც საქართველომ ბოლო წლების განმავლობაში რეფორმების გზით მიაღწია.

სენატორების შეფასებით, მისასალმებელია, რომ რუსეთის აგრესიის მიუხედავად, საქართველოს მთავრობამ ქვეყნის სტაბილური განვითარების გზა შეინარჩუნა.

განსაკუთრებით გაესვა ხაზი კორუფციასთან ბრძოლის მიმართულებით არსებულ პროგრესს და უსაფრთხოების გაძლიერებისკენ გადადგმულ ნაბიჯებს. ასევე, ყურადღება გამახვილდა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და იმ მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, რომლებშიც საქართველოა ჩართული.

რონ ჯონსონმა და კრის მერფიმ ასევე განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშნეს ნატოსთან ინტეგრაციის კუთხით საქართველოს მიერ ბოლო წლებში მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესი, როგორც სამხედრო რეფორმების, ისე პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების თვალსაზრისით.

სენატორებმა პრემიერ-მინისტრ კვირიკაშვილს კიდევ ერთხელ დაუდასტურეს, რომ საქართველოს აშშ-ში „რესპუბლიკელებისა“ და „დემოკრატების“ ძლიერი, ორპარტიული მხარდაჭერა აქვს.

ლექვინაძე: „ბიზნესომბუდსმენი მხარს ვერ დაუჭერს იმ ბიზნესს, რომელსაც ნარკობიზნესი ჰქვია“

ბიზნესომბუდსმენი ირაკლი ლექვინაძე აცხადებს, რომ კლუბ ბასიანის საქმეში ბიზნესომბუდსმენის აპარატი ჩართული არ არის. როგორც ლექვინაძემ „ნეტგაზეთს“ უთხრა, მისთვის ცნობილია, რომ ამ ეტაპზე კლუბში ოპერატიული საგამოძიებო საქმიანობა მიმდინარეობს.

ლექვინაძემ „ნეტგაზეთთან“ საუბრისას ასევე განაცხადა, რომ „ბიზნესომბუდსმენი მხარს ვერ დაუჭერს იმ ბიზნესს, რომელსაც ნარკობიზნესი ჰქვია“:

– ჩვენ არ ვართ ჩართულები იმიტომ, რომ მათ არ მოუმართავთ ამ საკითხზე. ჩვენთვის ცნობილია, რომ მიმდინარეობს ოპერატიული საგამოძიებო სამუშაოები. ამიტომ, თუ იქ არის საუბარი იმაზე, რომ ბასიანში შესვლა არ მოხდა იმის გამო, რომ კლუბის საქმიანობა შეფერხებულიყო, იქ იყო საუბარი ნარკოტიკების რეალიზაციაზე. ბიზნესომბუდსმენი მხარს ვერ დაუჭერს იმ ბიზნესს, რასაც ნარკობიზნესი ჰქვია, ის ამის გარეთ მხარს დაუჭერს ყველა კანონიერ საქმიანობას, – თქვა ლექვინაძემ „ნეტგაზეთთან“ საუბრისას.

– თუმცა ამ ეტაპზე გამოძიებით ხომ არ არის დადასტურებული კლუბის კავშირი ნარკოტიკების რეალიზაციასთან? – „ნეტგაზეთის“ რეპორტიორის ამ კითხვაზე ლექვინაძემ განაცხადა, რომ კომენტარი ამის შესახებ შესაბამისმა უწყებამ უნდა გააკეთოს:

– საგამოძიებო სამუშაოები მიდის და მე ვერ გეტყვით იმას, ის რა იყო და როგორ იყო. ამაზე, ბუნებრივია, შესაბამისი უწყება გააკეთებს შესაბამის კომენტარს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ რაც მალე დასრულდება სამუშაოები და, რაც მალე ექნებათ აღნიშნულ კლუბებს საქმიანობის გაგრძელების საშუალება, რა თქმა უნდა, ამას მივესალმები ით იმ კანონის ჩარჩოში, რა ჩარჩოც ითვალისწინებს მათ ნორმალურ ფუნქციონირებას და არა, დავუშვათ, რაიმე სხვა ტიპის უკანონო საქმიანობის განხორციელებას. შესაბამისი კომპეტენტური უწყება იქ აწარმოებს შესაბამის მოქმედებებს. ამიტომ, ალბათ, მათ გარკვეული პერიოდი სჭირდებათ. თუმცა იმ ნაწილში, რაც უფრო მალე დასრულდება და ბიზნესი მალე აღდგება, მივესალმები, რასაც ჩვენი კანონმდებლობა ითვალისწინებს, – თქვა ლექვინაძემ ნეტგაზეთთან.

„ნეტგაზეთი“ ასევე დაინტერესდა, რა რეაგირებას მოახდენდა ბიზნესომბუდსმენი იმ შემთხვევაში, თუ ბასიანის მფლობელები აპარატს მიმართავდნენ:

– ჩვენ, უბრალოდ, ვნახავთ საქმის მასალებს და, თუ რამეში შეგვიძლია შუამდგომლობა, ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში ამას გავაკეთებთ, – ამბობს ლექვინაძე.

სანამ ირაკლი ლექვინაძე ბიზნესომბუდსმენად დაინიშნებოდა, წლების განმავლობაში თბილისის მერ დავით ნარმანიას მოადგილე იყო.

მიუხედავად იმისა, რომ კლუბი ბასიანი ამ დრომდე დალუქულია, დღეს კაფე გალერი გაიხსნა. შსს-ში არ ამბობენ ზუსტ დროს, როდის მოეხსნება ბასიანს ლუქი. კლუბის მფლობელები არ გამორიცხავენ, რომ თუ შსს მათ კლუბის გახსნის საშუალებას 1 ივნისამდე არ მისცემენ, შესაძლოა ბასიანი დაიხუროს.

სამართალდამცავებმა სპეცოპერაცია გალერისა და ბასიანში 12 მაისს, შუაღამისას, დაახლოებით პირველ საათზე, ერთდროულად დაიწყეს. როგორც შსს ამბობს, ნარკოტიკების რეალიზაციის ბრალდებით 8 პირი დაკავეს, თუმცა მოგვიანებით უწყებამ დაადასტურა, რომ კლუბის ტერიტორიაზე ამ 8 ადამიანიდან მხოლოდ ერთი ადამიანი დააკავეს.

რეგინფო

ანზორ აბრალავა: „ცდილობენ, ნარკოტიკებთან ბრძოლა საგარეო პოლიტიკას დაუკავშირონ“

მარიამ მჭედლიშვილი

მიმდინარე მოვლენებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატ ანზორ აბრალავას

– ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ხელისუფლება არ აპირებს ქვეყნისთვის აუცილებელი რეფორმების გატარებას და ამის ნაცვლად ხალხს სპეცეფექტებს სთავაზობს. ამის მაგალითად მოჰყავთ ბოლო დროს თბილისში განვითარებული მოვლენები.

– არანაირი სპეცეფექტები ხელისუფლების მხრიდან არ ყოფილა. ამ მოვლენებში ნათლად გამოიკვეთა ის, რასაც ადრეც ვამბობდი – ნაციონალური მოძრაობისა და მისი განშტოებების მცდელობა, თავიანთი რევანშისტული მიზნებისთვის გამოიყენონ სხვადასხვა სოციალური ჯგუფი, განსაკუთრებით ლგბტ პირები და ის ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის მომხრეები. საყურადღებოა რუსთავი 2-ის აქტიური პოზიცია ამ პროცესებში. კვესიტაძის გადაცემაში პირდაპირ გაცხადდა, რომ საკუთარი თავი, თავისი უფლებები საზოგადოებამ თვითონ უნდა დაიცვას.

– ფიქრობთ, რომ ნაცმოძრაობა ცდილობდა, ქუჩაში დაწყებული მოძრაობა გაეფართოებინა?

– რასაკვირველია. აშკარა იყო ნაცმოძრობის, გირჩისა და სხვების დაინტერესება. დარწმუნებული ვარ, სააკაშვილმა სხვადასხვა სცენარი შეიმუშავა. მისთვის ყველაზე სასურველი სქემით, უნდა მომხდარიყო რუსთაველზე შეკრებილების დარბევა. ამით ისარგებლებდნენ სააკაშვილთან დაკავშირებული პოლიტიკური ძალები და დაიწყებდნენ შეტევას ხელისუფლებაზე.

„ქართული ოცნების“ დამცველი არა ვარ. მაწუხებს ქვეყნის მდგომარეობა. სახელმწიფოს ამ ოდიოზური ძალების რევანში და გადატრიალება ძვირად დაუჯდება. „ქართული ოცნების“ ხელშეწყობით ქვეყანაში ნორმალურ ოპოზიციასაც არა აქვს გასაქანი. ხელისუფლება ასეთ ჯანსაღ ოპოზიციას არ აღიარებს. საზოგადოება ვერ ახერხებს გაერთიანებას საღად მოაზროვნე ძალის გარშემო. შიში თავისას შვრება. შიში მართლმსაჯულების წინაშე დამნაშავეთა სამყაროს ორგანიზებულ ფორმირებად აყალიბებს. საზოგადოების ნაწილი მარგინალებს უდგას გვერდით.

– მარგინალური ჯგუფი ბევრია.

– მარგინალური და ოდიოზური, პირველ რიგში, ნაციონალური მოძრაობაა. ჯერჯერობით მას ზრახვები ჩაეშალა. ამის გამო ზოგიერთი აქტივისტი, ისევე, როგორც გირჩის ლიდერები, წონასწორობიდან გამოვიდნენ. რა სისულელეს აღარ გაიგონებ! თურმე, ნარკობიზნესთან, ნარკომანიასთან ბრძოლა პრორუსულობა ყოფილა. არის მცდელობა, რომ ნარკოტიკების გავრცელებასთან ბრძოლა დაუკავშირონ საგარეო პოლიტიკას. ეს არის იდიოტიზმი, რომელსაც მიზანმიმართულად ნერგავენ – ჯერ მოვლენას თავისებურად შეფუთავენ და მერე ფაქტებზე გადადიან.

ნარკოტიკების მოხმარება მიბმულია მათ მოწოდებასთან. იქმნება ნოყიერი ნიადაგი იმისათვის, რომ რევანშისტულმა ჯგუფებმა თავიანთ მიზნებს დაუქვემდებარონ ნარკობიზნესში ჩაბმული პირები და მომხმარებლები. რას ქადაგებს რუსთავი 2 – ნარკომოვაჭრეები იატაკქვეშიდან უნდა გამოვიდნენ? ხდება საზოგადოების დაბომბვა არასწორი შეფასებებით და ადამიანების ფსიქოლოგიური ტერორი. თუ ვინმე წუხილს გამოთქვამს ნარკომანების რაოდენობისა და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის დიდი მასშტაბების გამო, მას შეურაცხყოფენ და რუსეთთან აკავშირებენ.

რეალურად, რუსეთთან გარიგებული ნაცმოძრაობაა. სააკაშვილის გუბერნატორები მძღოლებად დაუდგნენ ოკუპანტებს 2008 წლის აგვისტოში. სააკაშვილი და მისი ოჯახი რუსეთის დავალებებს ასრულებდნენ 2008 წელსაც და სხვა დროსაც. ჩვენი მოქალაქეების გამოდევნა შიდა ქართლიდან და მათი კომპაქტურად ჩასახლება წინასწარ იყო დაგეგმილი. ახლა ეს პარტია ცხადდება პროდასავლურ ძალად, რომელიც პრორუსულობას სხვებს აბრალებს.

– ვარაუდობთ, რომ დესტაბილიზაციის მცდელობა კიდევ მოსალოდნელია?

– ბოლო პერიოდში ვნახეთ კონფრონტაციის ინსპირირების ნიშნები. სააკაშვილს, მის მიერ მართულ ძალებსა და მის ტელევიზიას ისევ ამოძრავებთ რევანშისა და პროვოკაციების სურვილი. მათ სრული კრახი ელოდებათ, მაგრამ ხელისუფლება ფხიზლად უნდა იყოს, რათა ნაცმოძრაობამ ვერ მოახდინოს სხვადასხვა სოციალური ჯგუფით მანიპულირება.

პარლამენტის შენობასთან შეკრებილ საზოგადოებას რაღაცაში არ ვეთანხმები, მაგრამ ამ ადამიანების მიმართ სიბრალული მაქვს. ხელისუფლებამ მათზე უნდა იზრუნოს და ეცადოს, ისინი ნორმალური ცხოვრებისაკენ მოაბრუნოს.

თბილისში გრძელი სამარშრუტო ხაზები, შესაძლოა, გაუქმდეს

დედაქალაქში არსებული გრძელი სამარშრუტო ხაზები, შესაძლოა, გაუქმდეს და მგზავრთა გადაჯდომის ადგილები დაწესდეს, – ამის შესახებ დღეს საუბარი იყო თბილისის საკრებულოს სატრანსპორტო კომისიის სხდომაზე, სადაც თბილისის ავტობუსებისა და მიკროავტობუსების ხაზების რესტრუქტურიზაციის პროექტზე იყო საუბარი. აღნიშნულ პროექტს კომპანია „სისტრა“ განახორციელებს.

როგორც ქართული საკონსულტაციო კომპანია „სპექტრუმ კონსალტინგის“ წარმომადგენელმა ასმათ აბესაძემ განაცხადა, ასევე შესაძლოა განხორციელდეს რუსთავიდან, გარდაბნიდან და მცხეთიდან თბილისში მოძრავი სამარშრუტო მიკროავტობუსებისათვის გაჩერების გარკვეული ადგილების დაწესება, რომლის იქითაც მათ თბილისში მგზავრების შემოყვანა აღარ შეეძლებათ.

– საუბარია იმაზე, თუ სად უნდა მოხდეს გადაჯდომა, გაჩერების ადგილის დაწესება თბილისში შემოსული მიკროავტობუსებისათვის, ის, რომ რუსთავიდან თბილისამდე მგზავრი უნდა ჩამოვიდეს კომფორტულად, ამაზე არავინ დავობს. საუბარია იმაზე, რამდენად სიღრმეში უნდა შემოვიდეს თბილისში, მაგალითად, რუსთავიდან მომავალი სამარშრუტო მიკროავტობუსი, ამას ჩვენ აუცილებლად დავადგენთ.

გადაჯდომა შეეხება არა მარტო რუსთავიდან, მცხეთიდან ან გარდაბნიდან შემომავალ სამარშრუტო მიკროავტობუსებს, არამედ თბილისში არსებულ გრძელ მარშრუტებსაც. მოხდება დადგენა იმ ადგილების, საიდანაც მგზავრი ძალიან კომფორტულად გადაჯდება საზოგადოებრივი ტრანსპორტის სხვა საშუალებაში. შესაძლოა, ეს იყოს ავტობუსი, მეტრო და ა. შ., – განაცხადა ასმათ აბესაძემ.

კომერსანტი

ზუგდიდელი მოსწავლეები დირექტორს ბოლო ზარის ღონისძიების ჩაშლაში ადანაშაულებენ

ზუგდიდის მე-5 საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლეები დირექტორს ბოლო ზარის ღონისძიების ჩაშლაში ადანაშაულებენ.

მათი თქმით, დირექტორმა დოდო ცხვიტარიამ მათ 18 მაისს საკლასო ოთახის კარი ჩაუკეტა და დაგეგმილი ღონისძიების ჩატარების უფლება არ მისცა. ამის მიზეზად კი ისინი დირექტორის განაწყენებას ასახელებენ.

– დირექტორი გაგვინაწყენდა, რადგან ჩვენ გამოვიყენებთ თავისუფალი დასწრების უფლება. არ დავდიოდით სკოლაში ბოლო თვის განმავლობაში, თუმცა ისე არა, რომ გაკვეთილს არცერთი არ დავსწრებოდით. 4-5 ბავშვი ყოველთვის იყო. დირექტორი იმაზეც გაბრაზდა, რომ დარბაზში არ გავაკეთეთ ღონისძიება და არ დავემორჩილეთ მის მოთხოვნებს. ვიფიქრეთ, რომ მცირერიცხოვანი კლასი ვიყავით და არ გამოვიდოდა ლამაზი. დაგეგმილი გვქონდა საკლასო ოთახში შესვლა მასწავლებლებთან ერთად, შემდეგ კი ეზოში გვინდოდა გამოსამშვიდობებელი სიტყვის თქმა, როგორც ხდება ხოლმე, თუმცა ამის საშუალება არ მოგვეცა, – აცხადებენ დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები.

მოსწავლეების პოზიცია იზიარებს ამავე სკოლის პედაგოგი და მშობელი ნანა ღურწკაია და აცხადებს, რომ ბოლო ზარის ღონისძიება დირექტორმა ჩაშალა.

– ერთი კვირის განმავლობაში იყო საუბარი, რომ მათ ბოლო ზარს ჩაუშლიდა, მაგრამ არ გვეგონა, რომ ამას გააკეთებდა. მოგვიანებით გადაწყვეტილება შეცვალა და ამბობდა, გინდ ჩაატარეთ, გინდ არაო, თუმცა იმ დღეს კარი დაკეტილი დაგვხვდა. მის კაბინეტში რომ შევედით და გასაღები მოვთხოვეთ, მხოლოდ მას შემდეგ მოგვცა, რაც რესურსცენტრი ვუხსენეთ, – აცხადებს ნანა ღურწკაია.

მეთორმეტე კლასელების დამრიგებლის თქმით, საკლასო ოთახის გასაღებები ყოველთვის სამასწავლებლოში ინახებოდა, თუმცა 18 მაისს საკლასო ოთახის კარის გასაღები დირექტორის კაბინეტში იყო.

– არასოდეს ყოფილა მსგავსი შემთხვევა, რომ კარების გასაღები დირექტორთან ყოფილიყო. ბავშვებს საკლასო ოთახის კარი დაკეტილი დახვდათ, ხოლო როდესაც გასაღები გამოვიტანეთ, მათ უკვე ღონისძიების ჩატარების სურვილი არ ჰქონდათ, – განაცხადა დამრიგებელმა.

თავის მხრივ, ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფს სკოლის დირექტორი დოდო ცქვიტაია. მისი თქმით, მას ბოლო ზარის დღეს ღონისძიების ჩატარება არ აუკრძალავს.

– ერთი თვე ეს კარები ბოქლომით იყო ჩაკეტილი, არ დადიოდნენ ეს ბავშვები და ამ დღეს გაუკვირდათ? როცა შემოვიდნენ და გასაღები მთხოვეს, ავდექი და მივეცი. არც სკოლის შიგნით სააქტო დარბაზში და არც გარეთ ეზოში, მათ არ ჰქონდათ დაბრკოლება, რომ ჩაეტარებინათ ღონისძიება. ეს პროცესები მართულია. მე გადაუმოწმებლად არაფერს ვამბობ. არ ვმონაწილეობდი მათ მიერ დაგეგმილ ღონისძიებაში, რადგან ამ ბავშვებმა ერთი თვის განმავლობაში ბოქლომი დააოდეს ამ კარებს. ეს 23 წლის განმავლობაში არავის გაუკეთებია. ჩემს პრაქტიკაში არ მახსოვს მსგავსი ფაქტი, რომ მოსწავლეებმა საკლასო ოთახი ერთი თვით ადრე დაკეტეს, – ამბობს დოდო ცქვიტაია.

ზუგდიდის რესურსცენტრში აცხადებენ, რომ მომხდარზე მოკვლევა დაწყებულია.

ქუთაისის მე-17 ბაგა-ბაღში ქვეწარმავალი ნახეს

ქუთაისში, მე-17 ბაგა-ბაღში, სასწავლო პროცესის დროს ბაღის თანამშრომელმა ქვეწარმავალი შენიშნა და ფაქტის შესახებ ადმინისტრაციას აცნობა. ბაღში სასწავლო პროცესი შეწყდა და მოსწავლეები ორშაბათამდე დაითხოვეს. ქუთაისის მერიის ბაღების გაერთიანებაში აცხადებენ, რომ მე-17 ბაღში სადეზინფექციო სამუშაოები ბოლოს გასულ კვირაში ჩატარდა.

– ბაღი მდინარე ოღასკურასთან ახლოს მდებარეობს. ამ პერიმეტრზე არსებულ საბავშვო ბაღებში ჩატარდა პრევენციული სამუშაოები ქვეწარმავლების გავრცელების საწინააღმდეგოდ. მიუხედავად ამისა, ბაღის ეზოში, შენობის კედელთან ახლოს, შენიშნეს ქვეწარმავალი, რის შემდეგაც, გაერთიანების ადმინისტრაციამ ქუთაისის სადეზინფექციო სამსახურს განმეორებითი სამუშაოების ჩატარება სთხოვა. ბაღის აღსაზრდელებს საფრთხე არ ემუქრებათ. სასწავლო პროცესი დროებით შეჩერებულია, – განაცხადა ა(ა)იპ ბაღების გაერთიანების სანჰიგიენური ნორმების კოორდინატორმა მადონა უჩიძემ.

რევაზ ვაშაკიძე: „ქათმის ხორცზე მყიდველს ყველანაირი ინფორმაცია უნდა ჰქონდეს, თუმცა ქვეყანაში ამის დაცვა არ ხდება“

„ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესის შესახებ“ მთავრობის დადგენილებაში შესაბამისი ცვლილება შევიდა, რომლის მიხედვითაც საცალო ვაჭრობაში საბოლოო მომხმარებლისათვის მიწოდების მიზნით განთავსებული გაყინული ფრინველის ხორცი უნდა იყოს შეფუთული.

– საცალო ვაჭრობაში (გარდა სადისტრიბუციო ტერმინალების, საზოგადოებრივი კვების ობიექტების, საწარმოებში არსებული სასადილოების, ორგანიზაციებში არსებული კვების ობიექტების, რესტორნებისა და სურსათთან დაკავშირებული მსგავსი მომსახურების გამწევი ობიექტების) განთავსებული გაყინული ფრინველის ერთი შეფუთვა უნდა მოიცავდეს ფრინველის ერთ ტანხორცს ან ერთი სახეობის ფრინველის, მაქსიმუმ, ერთი ტანხორცის შესაბამის ნაწილებს.

შეფუთვაზე განთავსებული უნდა იყოს ეტიკეტი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, – ნათქვამია დადგენილებაში.

კომპანია „ბიუ-ბიუს“ დამფუძნებელი რევაზ ვაშაკიძე „კომერსანტთან“ საუბრისას გაყინული ფრინველის ხორცის შესახებ მთავრობის დადგენილებაში შესულ ცვლილებებს მიესალმება და მიჩნევს, რომ ეტიკეტირების შესახებ კანონი მკაცრად უნდა იყოს დაცული.

– საცალო ვაჭრობაში ნებისმიერი პროდუქცია, რაც იყიდება, მათ შორის ქათმის ხორცზე, მყიდველს ყველანაირი ინფორმაცია უნდა ჰქონდეს. ამას საქართველოში ეტიკეტირების კანონი უნდა ითვალისწინებდეს, თუმცა, სამწუხაროდ, ქვეყანაში ამის დაცვა არ ხდება, – განაცხადა ვაშაკიძემ.

ვაშაკიძის განცხადებით, აღნიშნული ცვლილება ამ დრომდეც უნდა მომხდარიყო.

აღნიშნული ცვლილება დამტკიცებულია და ძალაში მიმდინარე წლის აგვისტოდან შევა.

კომერსანტი

2018, 23 მაისი, №120

„ხშირად მედიკამენტებზე ფასნამატი 1000%-ს აჭარბებს“

„მნიშვნელოვანი მიზეზი, რის გამოც მედიკამენტები ძვირია, ადგილობრივი წარმოების არქონა და იმპორტზე დამოკიდებულებაა“

საქართველოში მოსახლეობის მიერ სამედიცინო მომსახურებისათვის გადახდილი თანხები მნიშვნელოვნად აღემატება საშუალო ოჯახის ფინანსურ შესაძლებლობებს, რაც მძიმე ტვირთად აწვება საზოგადოებას და განსაკუთრებით მის ღარიბ ფენას. განსაკუთრებით, პრობლემას ქმნის მედიკამენტების მაღალი ფასები, რომელიც პერმანენტულად მზარდია. ექსპერტულ წრეებში საუბრობენ, რომ ევროპის და ჩვენს მეზობელ ქვეყნებში წამლებზე ფასი საქართველოსგან განსხვავებით ბევრად იაფია.

რამდენიმე დღის წინ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ თურქეთში ცალკეული მედიკამენტების ფასი საქართველოს სააფთიაქო ქსელებში არსებული ფასებისგან განსხვავებულია და საქართველოში ძვირადღირებული წამლების შესყიდვა თურქეთში, თითქმის მესამედ ფასად შეიძლება.

აღნიშნულთან დაკავშირებით, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგეენკო აცხადებს, რომ ჩვენგან განსხვავებით, თურქეთი ძალიან ჭკვიანად მოიქცა.

– როდესაც ჩვენ 2007 და 2010 წლებში, ძალიან მარტივად მივიღეთ პრივატიზაციებზე გადაწყვეტილება, თურქეთი ძალიან ჭკვიანურად მოიქცა და მძლავრი სახელმწიფო საპირწონეები დატოვა როგორც კლინიკებში, ასევე ფარმაწარმოებაში.

მეორე ის, რომ თურქეთი მოსახლეობის მხრივ საკმაოდ დიდ ბაზარს წარმოადგენს და სახელმწიფოს მძლავრი ჩართულობის გამო თურქეთს საერთაშორისო მწარმოებლებთან აქვს მოლაპარაკება, რომ მათ გააკეთონ ე.წ. წარმოების ლოკალიზაცია, ანუ სხვა ქვეყნების დიდმა ფარმაკომპანიებმა აწარმოონ თურქეთში და ეს ხარჯებს მნიშვნელოვნად ამცირებს.

მესამე ის, რომ თურქეთმა მოახერხა რამდენიმე წლის წინ რეგიონის კონსოლიდირებულ შესყიდვაში, როდესაც რამდენიმე ქვეყანა გაერთიანებული ძალებით ყიდულობს ერთი და იგივე წამალს და ესეც არის ფასდაკლების ბერკეტი, – განაცხადა სერგეენკომ.

„ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის“ პრეზიდენტი შოთა გულბანი აცხადებს, რომ საქართველოში მედიკამენტების სიძვირეს მრავალი ფაქტორი განაპირობებს. პირველ რიგში, ეს არის უკონტროლო ფარმაცევტული ბაზარი, სადაც ობიექტური ფასი მედიკამენტებზე თავისუფალმა ბაზარმა კონკურენციის პირობებში უნდა წარმოშვას, მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ ეს არ არის შედეგის მომცემი გზა და ფასები მედიკამენტებზე და ასევე სამედიცინო სერვისებზე მუდმივი უკმაყოფილების საგანია და ის პირდაპირ ურტყამს მოსახლეობის გაჭირვებულ ფენას, რაც აბსოლუტური უმრავლესობაა ჩვენს ქვეყანაში.

მისი განცხადებით, ქართულ ბაზარზე პარადოქსული მდგომარეობაა. ერთი შეხედვით უამრავი მომწოდებელია და ასევე გვაქვს ადგილობრივი წარმოებებიც, რამაც წესით მედიკამენტებზე ფასები უნდა შეამციროს კონკურენციის პირობებში, თუმცა პირიქით ხდება და ვხედავთ, რომ მედიკამენტებზე ფასების ზრდა შეუქცევადი პროცესი გახდა.

– ზოგადად, როცა ვამბობთ, რომ ძვირია, სასურველია დავაკონკრეტოთ თუ რას გულისხმობს სიძვირე და რა პარამეტრებზე დაყრდნობით ვაკეთებთ ასეთ შეფასებას. მაგალითად, ჩვენს ორგანიზაციას ჰქონდა სხვადასხვა პერიოდში მედიკამენტების ბაზრის კვლევები, რა დროსაც მედიკამენტებზე ფასნამატი ხშირად 1000%-ს აჭარბებდა და, ცხადია, ამ მოცულობის ფასნამატი ნამდვილად გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ წამლები ძვირია. ამ რეალობას კი სახელმწიფო ვერაფრით უპირისპირდება.

არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზი, რის გამოც ძვირია მედიკამენტები, არის ადგილობრივი წარმოების არ ქონა და იმპორტზე დამოკიდებულება. როცა მიმოქცევაში არსებული მედიკამენტების უდიდესი ნაწილი იმპორტულია, ცხადია, ფასები მეტწილად ვალუტის რყევებს ექვემდებარება. ხოლო ადგილობრივი წარმოების დეფიციტი პირდაპირ განაპირობებს სიძვირეს, – აღნიშნავს გულბანი.

რაც შეეხება იმას, თუ რატომ არის ადგილობრივი წარმოების მედიკამენტები საქართველოში უფრო ძირი, ვიდრე მეზობელ ქვეყნებში, გულბანი აცხადებს:

– დიახ, ასეთ შემთხვევები ნამდვილად დაფიქსირდა და ზუსტად რაიმეს თქმა რთულია, თუმცა მე ვფიქრობ, ეს დაკავშირებულია ფარმაცევტული კომპანიების წმინდა ბიზნესსტრატეგიასთან, რომლის მიზანიც, ცხადია, მოგების მაქსიმიზაციაა. როცა ბიზნესმენი ხედავს, რომ საქართველოში მედიკამენტებზე მოთხოვნა მაღალია და მას ფასის ფორმირებაში სრული თავისუფლება აქვს, აწესებს იმ ფასს, რაც მას მეტ მოგებას მოუტანს, ხოლო, მაგალითად, სომხეთში ან სხვა ქვეყნის ბაზარზე, სადაც გააქვს ანალოგიური მედიკამენტები, მან იქაურ ბაზარს კონკურენტული ფასი უნდა შესთავაზოს, რომ შესაბამისი ბაზრის ნიშა დაიკავოს და გაყიდვები არ ჩაუვარდეს. შესაბამისად შეიძლება შევხვდეთ შემთხვევებს, როცა აქ, ადგილზე შეთავაზებული უფრო ძვირია, ვიდრე ანალოგიური საზღვარგარეთ, – აღნიშნავს გულბანი.

მისი განცხადებით, სახელმწიფოს შეუძლია ამ პროცესს ორი გზით დაუპირისპირდეს. პირველი, დაინტერესოს უცხოელი ინვესტორები საქართველოში როგორც წარმოების, ისე ახალი სარეალიზაციო ქსელების გაჩენით, ეს ხელს შეუწყობს რეალური კონკურენციის დამკვიდრებას ბაზარზე და არა ფიქტიურის, როგორიც ახლა გვაქვს, სადაც კარტელური გარიგებების დიდი რისკი და ლოგიკური საფუძვლები არსებობს.

მეორე გზა არის ევროპული ქვეყნების გამოცდილების გაზიარება, როცა სახელმწიფო მედიკამენტებზე ფასნამატის ზედა ჭერს უწესებს იმპორტიორს, რომლის მაღლაც მას არ შეუძლია სარეალიზაციო ფასის დადება.

– ეს აპრობირებული მეთოდია ევროპაში და სიახლეს ნამდვილად არ წარმოადგენს. იმის გამო, რომ მედიკამენტი არ არის მხოლოდ კომერციული პროდუქტი და მას უდიდესი სოციალური მნიშვნელობა გააჩნია და მასზე არსებობს მაღალი მოთხოვნა, სახელმწიფომ შესაბამისი ზომები უნდა მიიღოს ფასების ზრდის შესაჩერებლად ან მედიკამენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად მოსახლეობის მოწყვლად ფენებში, – აღნიშნავს გულბანი.

ბფმ

ივნისში ბანკები ახალ ასოციაციას დააფუძნებენ

ბანკები ახალ ასოციაციას აფუძნებენ. გავრცელებული ინფორმაციით, ორგანიზაციის ხელმძღვანელად მოიაზრება როგორც არსებული ასოციაციის პრეზიდენტი ზურაბ გვასალია, ისე დამოუკიდებელ დირექტორთა გაერთიანების დამფუძნებელი ტარიელ გვალია.

როგორც გვალია აცხადებს, ბანკების ახალი ასოციაციის დაფუძნების იდეა კომერციული ბანკებიდან წამოვიდა. შედეგად, რამდენიმე დღის წინ გაიმართა კონსულტაციებიც.

გვალია დამატებით დეტალებზე ვერ საუბრობს, თუმცა აცხადებს, რომ, სავარაუდოდ, არსებული საბანკო ასოციაცია დაიხურება. რაც შეეხება იმას, თუ ვინ იქნება ხელმძღვანელი, გვალია ამბობს, რომ ეს საერთო კრებაზე გადაწყდება.

რაც შეეხება არსებულ ბანკების ასოციაციას და მის პრეზიდენტ ზურაბ გვასალიას, როგორც მან „კომერსანტთან“ განაცხადა, ახალი ასოციაციის დაფუძნება იურიდიულმა და ტექნიკურმა ლაფსუსებმა განაპირობა.

– საბანკო ასოციაციაში დღემდე ისეთი დამფუძნებლები ფიქსირდება, რომელთაგან ზოგი გარდაცვლილია და ზოგი საბანკო სისტემაში საერთოდ აღარ არის. ჩვენი ორგანიზაციის პრინციპი ისეთია, რომ დამფუძნებლები სიიდან ვერანაირად ვერ გაგვყავს. ადრე ფიზიკურ პირებს უნდა დაეფუძნებინათ ასოციაცია და შემდეგ შეეძლოთ კომერციულ ბანკებს შესვლა. არჩევნები, სავარაუდოდ, ივნისში გაიმართება, – აცხადებს გვასალია.

კომერსანტი

საჯარო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 12.000-ით გაიზარდა

2017 წელს სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 12.000 ათასი კაცით გაიზარდა, შედეგად ამ მიმართულებით 284 ათასი ადამიანი მუშაობს. ამის შესახებ საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით, ინფორმაციას Forbes-ის ქართული გამოცემა ავრცელებს.

მონაცემების მიხედვით, საჯარო სექტორში, ჯამში დასაქმებულთა 16.6% მუშაობს. ამასთან, 22.5 ათასით შემცირდა და დღეის მონაცემებით, 1.423 ათასი ადამიანი მუშაობს კერძო სექტორში. დასაქმებულებიდან 882 ათასი თვითდასაქმებულია.

რა გავლენა მოახდინა ახალმა რეგულაციებმა სამშენებლო სექტორზე

ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული რეგულაციები, რომლის მიხედვითაც კომერციულ ბანკებს კლიენტის გადახდისუნარიანობის, მისი შემოსავლებისა და ხარჯების დეტალური ანალიზის გარეშე, სესხის გაცემა ეკრძალებათ, სამშენებლო კომპანიების ნაწილის გაყიდვებზე უკვე ნეგატიურად აისახა.

დეველოპერები აცხადებენ, რომ, სავარაუდოდ, ბინების გაყიდვები მინიმუმ 5-10%-ით მაინც შემცირდება, რის გამოც უკვე დაწყებულ მშენებლობებზე, ზოგიერთ კომპანიას ფასების დაწევა მოუწევს, რათა თვითღირებულება მაინც ამოიღოს. ხოლო შემდგომ, ახალ პროექტებში, ბინები კიდევ უფრო გაძვირდება.

სესხის გაცემის შეზღუდვასთან დაკავშირებით ეროვნული ბანკის რეგულაციები უკვე 2 კვირაა ამოქმედდა. აღნიშნული ცვლილების მიხედვით, მაგალითად, თუ მოქალაქეს ბინის შეძენა სურს, ბანკი მას თანხის 50%-ზე მეტს ვეღარ მისცემს იქამდე, ვიდრე არ დაადგენს, რამდენად აქვს შესაძლებლობა დაინტერესებულ პირს ყოველთვიური თანხის გადახდის.

დეველოპერების თქმით, რეგულაციები ნეგატიურად აისახება მათ ბიზნესზე, რადგან მყიდველების 40-45% სწორედ საბანკო სესხით სარგებლობს, მათ უმრავლესობას კი, ფიქსირებული ხელფასი არ აქვს და შემოსავლის სხვა წყარო გააჩნია.

– ჯერჯერობით რეგულაცია ახალი ამოქმედებულია, თუმცა, ეს დღეს თუ არა, ხვალ ბაზარზე ნეგატიურად აუცილებლად აისახება. უბრალოდ, ეს შეეხება დაბალსეგმენტიანი ბინების რეალიზაციას. ძირითადად, ასეთი კატეგორიის ადამიანების მიერ ხდება ბინების შეძენა. ზოგის დედა მუშაობს უცხოეთში, ან ოჯახის რომელიმე წევრი, ისინი უგზავნიან თანხებს, რაც ფაქტობრივად, დაუდასტურებელია, როგორც შემოსავალი. ამიტომ, ამ კატეგორიის ხალხს ძალიან ბევრი სიძნელე შეექმნება, რაც თავისთავად აისახება ბაზარზე, რეალიზაცია შემცირდება და სამომავლოდ, ბინების ფასები აიწევს. თუმცა, ზოგიერთი სამშენებლო კომპანია, რომელსაც დაწყებული აქვს მშენებლობა, იძულებული გახდება, ფასები დაწიოს და თვითღირებულების ამოღებაზე იმუშაოს, – აცხადებს კომპანია „ჯი დი ჯი“-ის დამფუძნებელი ბეჟან წაქაძე.

კითხვაზე, დაახლოებით რამდენი პროცენტით შეიძლება შემცირდება ბინების რეალიზაცია, წაქაძე აცხადებს, რომ მინიმუმ 5-10%-ით.

სამშენელო კომპანია „რედკოს“ პროექტების მენეჯერი მალხაზ კუნელაური აცხადებს, რომ რაც რეგულაციები ამოქმედდა, საბანკო სესხით მათ კომპანიაში ბინები, ფაქტობრივად, აღარავის შეუძენია.

– ჩვენ გვქონდა მსგავსი პროდუქტი და ვსარგებლობდით არაერთი ბანკის მომსახურებით. ეს საკმაოდ ეფექტურად მუშაობდა დღემდე. ამ რეგულაციის შემდეგ, თვითონ ბანკებს შექმნათ პრობლემა და მათ დაიწყეს მოლაპარაკება ისევ ეროვნულ ბანკთან, რათა დეველოპერთან მიმართებით რაიმე განსხვავებული წესი დაადგინოს. იმიტომ, რომ ასეთი ტიპის გაყიდვები ხდება არა მხოლოდ ჩვენთან, არამედ ამ პროდუქტით ყველა მსხვილი დეველოპერული კომპანია სარგებლობს. ბანკების სტატისტიკური მონაცემებით, წლების განმავლობაში ბინების ძალიან დიდი რაოდენობა სწორედ ასეა გაყიდული და მისი გაპრობლემების კოეფიციენტი მინიმალურია – 100%-დან, მხოლოდ 1%. ეს იმას ნიშნავს, რომ ვინც ბინას სესხით ყიდულობს, იხდის კიდეც.

ასე რომ, ეს, რა თქმა უნდა, არის ერთგვარად შემაფერხებელი ფაქტორი. ამჟამინდელი მდგომარეობით ნათელია, რომ ამ რეგულაციის გამო თავად ბანკი შეფერხდა სესხის გაცემის პროცედურაში, შესაბამისად, ჩვენს საერთო გაყიდვებში ბანკის გაყიდვების წილმა მნიშვნელოვნად იკლო. ბოლო 2 კვირაა, არც ერთი გაყიდვა არ გვაქვს. არა იმიტომ, რომ შემოსავალი არავის უდასტურდება, არამედ იმიტომ, რომ კომერციული ბანკი თავად ცდილობს ეროვნულ ბანკთან სიტუაციის დალაგებას და ერთიანი მოდელის შემუშავებას, – აცხადებს მალხაზ კუნელაური.

კითხვაზე, მათი მყიდველების რამდენი პროცენტი სარგებლობს საბანკო სესხით, კუნელაური ამბობს, რომ თითქმის 50%-მდე.

– ყველამ კარგად ვიცით, რომ ძალიან ბევრ ადამიანს ფიქსირებული ხელფასი არ აქვს. ისინი დაკავებულები არიან სხვადასხვა ტიპის საქმიანობით, მათ შორის, სოფლის მეურნეობით, რაც დეკლარირებული ხელფასი არ არის. რა თქმა უნდა, ეს პროცენტი გამოაკლდება მყიდველთა კონტინგენტს. აქამდე ჩვენი გაყიდვების თითქმის 45-50% მთლიანად მიბმული იყო საბანკო პროდუქტზე, – აცხადებს კუნელაური.

კომერსანტი

„გამიკვირდა, კლუბთან რატომ დამიბარა? პოლიცია წარსულით აშანტაჟებდა“

რას აცხადებს ნარკორეალიზაციის ბრალდებით დაკავებული 23 წლის ბორის დარახველიძე და ვინ არის აზიტა ზაკერი

12 მაისს ნარკორეალიზაციის ბრალდებით დაკავებული 8 პირიდან ასაკით ყველაზე უმცროსი 23 წლის ბორის დარახველიძეა. მისი ადვოკატი, ნინო ლალიაშვილი, „ნიუპოსტთან“ ირწმუნება, რომ დარახველიძე პროვოკაციის მსხვერპლია.

გამოძიება ახალგაზრდას სამ ეპიზოდს ედავება, ბრალდება კი იმდენად მძიმეა, რომ მას 20 წლამდე ან უვადო პატიმრობა ემუქრება.

ადვოკატის განცხადებით, მისი კლიენტის წინააღმდეგ ერთადერთი ჩვენება არსებობს, რომელიც უცხო ქვეყნის მოქალაქემ მისცა.

ჩვენი ინფორმაციით, ბორის დარახველიძე აზიტა ზაკერმა ამხილა. ქალი სამართალდამცავებისთვის მიცემულ ჩვენებაში ყვება, რომ დარახველიძე 22 მარტს ნახა, ახალგაზრდამ კი „ექსტაზის“ 5 აბის 700 ლარად ყიდვა შესთავაზა და ნარკოტიკული საშუალების „ბასიანში“ მიტანას დაჰპირდა.

ამ შეხვედრის შემდეგ ზაკერი პოლიციაში წავიდა და აგენტ-პროვოკატორი გახდა. მისი მხრიდან გაკეთდა სამი საკონტროლო შესყიდვა, უცხო ქვეყნის მოქალაქემ ბრალდებული ჩაიწერა, ვიდეო კი მტკიცებულების სახით საქმის მასალებს დაერთო.

ნინო ლალიაშვილი „ნიუპოსტთან“ ამბობს, რომ პროკურატურის ოქროს მოწმე პოლიციამ მოისყიდა და მისი წარსულით აშანტაჟებს. ადვოკატის განცხადებით, აზიტა ზაკერს ნარკოტიკებთან შეხება თავადაც ჰქონდა.

– ჩემი ვარაუდით, თავის დროზე, ეს გოგონა დააკავეს, რომელსაც ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი დიდი ხნის განმავლობაში იცნობდა. სავარაუდოდ, გარკვეული შელავათის პირობით დაითანხმეს, ჩვენება მიეცა. უთხრეს, რომ ნარკორეალიზატორთან გაეყვანათ, მას სხვა გზა არ ჰქონდა და გაიყვანა ნაცნობთან.

რაც შეეხება ნარკოტიკის გადაცემის ფაქტს, საქმის მასალებში არ მტკიცდება, რა გადასცა დარახველიძემ აღნიშნულ ახალგაზრდა ქალს. ეს ექსპერტიზის მსჯელობის საგანია, რომლისთვისაც ჩვენ ვემზადებით.

ამ გოგონამ დარახველიძე თავად დაიბარა კლუბის მიმდებარე ტერიტორიაზე. სამი ვიდეო ფირია და სამივეში ჩანს, რომ რაღაცას გადასცემს, ამიტომ აქვს დარახველიძეს მძიმე დანაშაული წაყენებული – დიდი ოდენობით ნარკოტიკის გასაღება. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის წინააღმდეგ მხოლოდ აღნიშნული ქალბატონის ჩვენება დევს, რომელიც თვითონვე შემჩნეულია მსგავს ქმედებებში, – აღნიშნა ადვოკატმა.

ნინო ლალიაშვილის თქმით, ბორის დარახველიძე აცხადებს, რომ აზიტა ზაკერს იცნობს, თუმცა მისთვის ნარკოტიკული საშუალებები არ გადაუცია.

– ბორისს მოხმარება დაუდგინდა, მას მარიხუანა და კლუბური ნარკოტიკი – „ექსტაზი“ ჰქონდა მიღებული, თუმცა ამბობს, რომ არასამათგანს არ ვიცნობო. არ იყო ისე, რომ ბორისი კლუბებში ათენებდა, ხშირი სტუმარი არც იყო. ახლა მოდის აზრზე და სვამს კითხვას, მაინცდამაინც კლუბის წინ რატომ დამიბარა აღნიშნულმა გოგონამო.

სიტყვაზე, რომც იყოს ნარკორეალიზატორი, სად ჰეროინი და სად კლუბური ნარკოტიკის გადაცემა?! – მაგრამ ერთნაირი დასჯადობაა. გამოძიება ჯერ არ დასრულებულა. ვნახოთ, რა შედეგს მოგვცემს ექსპერტიზა.

23 წლის სტუდენტი ბიჭია, ერთი ინსტიტუტია და მეორე უნივერსიტეტში უფასო ფაკულტეტზე მოხვდა, – დასძინა ადვოკატმა.

12 მაისს ნარკორეალიზაციის ბრალდებით დაკავებული პირების საქმეს და 8 ბრალდებულს: გიორგი მამუკელაშვილს, ლაშა მამულაიშვილს, ვიქტორ ჟამუტაშვილს, თორნიკე ჩუტკერაშვილს, ჯემალ ელიავას, მიხეილ მიქაძეს, ბორის დარახველიძესა და ქეთი მურუსიძეს წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

არც ერთი მათგანი დანაშაულს არ აღიარებს.

ნიუპოსტი

პაატა მანჯგალაძე: „ნუთუ აქამდე დაეცნენ, რომ რეალური დამნაშავეების დასჯის ნაცვლად შვილმკვდარ მამას ემუქრებიან“

„ახალი საქართველოს“ პოლიტიკური მდივანი პაატა მანჯგალაძე ხორავას ქუჩაზე მოკლული მოზარდის, დავით სარალიძის მამის განცხადებას „ნიუპოსტთან“ ეხმაურება და ზაზა სარალიძის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას საგანგაშოს უწოდებს.

'– საგანგაშოა შვილმკვდარი მამის განცხადება მისი თვალთვალის თაობაზე. ჩემთვის გაუგებარია, რა უნდა იყოს ასეთი ქმედების მიზანი. ერთადერთი, რასაც ვფიქრობ, ის არის, რომ მოვითხოვოთ შესაბამისი უწყებებიდან მყისიერი რეაგირება ამ ფაქტზე. ადამიანურად მართლა არ მესმის ძალოვანი უწყების ქცევის მოტივი. ნუთუ აქამდე დაეცნენ, რომ შვილმკვდარ მამას ემუქრებიან რეალური დამნაშავეების დასჯის ნაცვლად, – აცხადებს მანჯგალაძე.

ზაზა სარალიძე ამბობს, რომ მას სამართალდამცველები უთვალთვალებენ და ამ გზით პროკურატურა მის დისკრედიტაციას ცდილობს.

ჟურნალისტ ნათია კობერიძეს წამებითა და გაუპატიურებით ემუქრებიან

„ვინმე ვახტანგ ჯაბანაშვილმა მუქარის რამდენიმე მესიჯი მომწერა“

ნათია კობერიძე აცხადებს, რომ ლგბტ ადამიანების ტელევიზიის ეთერით დაცვის გამო წამებითა და გაუპატიურებით ემუქრებიან. ჟურნალისტი კონკრეტულ პირს ასახელებს და პოლიციის გამოხმაურებას ელოდება.

შსს-ში ნეტგაზეთს განუცხადეს, რომ აღნიშნულ საქმეზე წინასაგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს, რის საფუძველზეც გამოიკითხება ნათია კობერიძის მიერ დასახელებული პირი და მოჰყვება შესაბამისი რეაგირება.

სარჩელში მითითებულია, რომ მუქარა ჟურნალისტის საჯარო გამოსვლას უკავშირდება.

ნათია კობერიძე:

– მოქალაქემ, ვინმე ვახტანგ ჯაბანაშვილმა მომწერა მუქარის რამდენიმე მესიჯი. ძალიან უწმაწური და აგრესიული, ამის გამეორება რთულია, მაგრამ აშკარად მიუთითებდა პირადად ჩემი წამების და გაუპატიურების განზრახვაზე, რომელსაც, მისი აზრით, ვიმსახურებ, როგორც ლგბტ უფლებების დამცველი. მომწერა ეს ტელეკომპანია კავკასიის ეთერში 17 მაისის თემაზე ჩემი გამოსვლის კვალდაკვალ.

მე გავაფრთხილე, რომ პოლიციას შევატყობინებ, თუმცა მუქარა მეორე დღესაც გაგრძელდა. შევატყობინე პოლიციას. ეკიპაჟი დაუყოვნებლივ გამოცხადდა ჩემს მისამართზე, გამოიჩინეს პროფესიული გულისხმიერება და გამამხნევეს საჩივრის დაწერის საქმეში. წამიყვანეს განყოფილებაში, სადაც გამომძიებელმა ნინო ბლიაძემ დაწერა საჩივარი და გადაუგზავნა პროკურორს მოთხოვნით, გატარდეს ღონისძიებები ძალადობის მუქარის აღსაკვეთად, – განუცხადა ნეტგაზეთს ნათია კობერიძემ.

დოდო გუგეშაშვილი შს მინისტრთან შეხვედრას ითხოვს

დოდო გუგეშაშვილი მას და მის შვილზე თავდასხმასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი გახარიასთან შეხვედრას ითხოვს. ამის შესახებ მისმა ადვოკატმა გელა ნიკოლაიშვილმა თქვა. ინფორმაციას სააგენტო „ინტერპრესნიუსი“ ავრცელებს.

გამოძიების მიმდინარეობასთან დაკავშირებით, გუშინ, 22 მაისს, დოდო გუგეშაშვილი პოლიციის სამმართველოში იყო. ადვოკატის განცხადებით, გუგეშაშვილი ფიქრობს, რომ გამოძიებას შესაძლოა ვიღაც ბლოკავდეს. ნიკოლაიშვილი ამბობს, რომ გამოძიებისთვის თავდამსხმელის ვინაობა უცნობია.

– კითხვები გვქონდა გამოძიების მიმდინარეობის შესახებ, რა იყო ახალი და რა არა. ჩვენ პერიოდულად, დაახლოებით, ორ კვირაში ერთხელ, ხან ათ დღეში ერთხელ, ბუნებრივია, ვინტერესდებით გამოძიების მიმდინარეობით. ამ თემებზე იყო საუბარი. ჯერჯერობით რაიმე მნიშვნელოვანი სიახლე არ არის, მიმდინარეობს მუშა პროცესი. ტელეფონები, ლეპტოპი დაგვიბრუნეს, რომლებიც სრულად იყო დამუშავებული. დაგვიბრუნეს ასევე მისი პასპორტი. რეალურად სხვა მნიშვნელოვანი წინსვლა რომ იყოს ამ საქმეში, სამწუხაროდ, ასე არ არის. შს მინისტრთან შეხვედრას ითხოვს დოდო გუგეშაშვილი, ვინაიდან, ბუნებრივია, შეწუხებულია იმით, რომ ჯერჯერობით არ არის გამოკვეთილი კონკრეტული კვალი. ამიტომ მას უნდა თავისი ეჭვების შესახებ ესაუბროს მინისტრს, ვინაიდან შესაძლოა ვიღაც ბლოკავდეს ამ გამოძიებას. თვითონ ასე ფიქრობს ყოველ შემთხვევაში და რატომ ფიქრობს ასე, არ ვიცი, – განაცხადა ნიკოლაიშვილმა.

დოდო გუგეშაშვილსა და მის შვილზე შეიარაღებული თავდასხმა 7 თებერვალს, დიღმის მასივში მოხდა. თადარიგის პოლკოვნიკი დოდო გუგეშაშვილი დაჭრეს, მისი შვილი, 33 წლის გრიგოლ გუგეშაშვილი კი ადგილზე დაიღუპა.

გამოძიება განზრახ მკვლელობის და დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე მიმდინარეობს (სსკ-ის 108-ე და 19-109-ე მუხლები). თავდამსხმელი ჯერჯერობით დაკავებული არ არის.

ანა ნაცვლიშვილის მკვლელობაში ბრალდებული ლადო გრიგალაშვილი თავს დამნაშავედ არ ცნობს

თემქაზე 20 წლის ანა ნაცვლიშვილის მკვლელობაში ბრალდებული ლადო გრიგალაშვილი წარდგენილ ბრალს არ აღიარებს.

ამის შესახებ ბრალდებულმა მოსამართლის მიერ დასმული კითხვის საპასუხოდ განაცხადა. მოსამართლემ გრიგალაშვილს განუმარტა მისი, როგორც ბრალდებულის უფლება-მოვალეობები და ბრალდების შინაარსი, რის შემდეგაც ჰკითხა, ცნობს თუ არა ის თავს დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებებში.– არ ვცნობ თავს დამნაშავედ არც ერთ ბრალში, – განაცხადა ლადო გრიგალაშვილმა.

ანა ნაცვლიშვილის მკვლელობის საქმეზე გუშინ წინასასამართლო სხდომა გაიმართა. ბრალდების მხარეს უკვე აქვს მთავარი ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმადაც, გარდაცვლილს 33 ჭრილობა აქვს მიყენებული.

აღნიშნული დასკვნა გახდა ერთ-ერთი საფუძველი იმისა, რომ ბრალდებულ ლადო გრიგალაშვილს ბრალი დაუმძიმდა. მას ანა ნაცვლიშვილის განსაკუთრებული სისასტიკით განზრახ მკვლელობა ედება ბრალად.

თემქაზე 20 წლის ანა ნაცვლიშვილი 22 თებერვალს მოკლეს. მას ყელის არეში დანით რამდენიმე ჭრილობა აქვს მიყენებული და ასევე დაზიანებები აღენიშნებოდა თავის არეში. პოლიციამ ნაცვლიშვილის მკვლელობის ბრალდებით მისი შეყვარებული, ლადო გრიგალაშვილი მომხდარიდან მეორე დღეს დააკავა.

ტრამპი მზადაა, კიმ ჩენ ინთან სამიტზე უარი განაცხადოს

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ ჩრდილოეთ კორეის დიქტატორის კიმ ჩენ ინის გამომწვევი საქციელი ყოვლად მიუღებელია. აშშ-ის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ ცუდად დაამთავრა ყველამ, ვინც ამერიკელების შეშინება ან დაშანტაჟება მოინდომა.

– ბატონ კიმ ჩენ ინს ტყუილად ჰგონია, რომ ჩემი მოტყუება ან დაშანტაჟება გამოუვა, – თქვა ტრამპმა.

აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა მაიკ პენსმა კიმ ჩენ ინს ურჩია, უახლესი ისტორია უფრო ყურადღებით შეისწავლოს.

– კადაფიც ამერიკის დაშანტაჟებას ცდილობდა. როგორ დაამთავრა, ცნობილია, – განაცხადა პენსმა.

მაიკ პომპეო: „აშშ ირანზე უმაგალითო ზეწოლას განახორციელებს!“

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ განაცხადა, რომ ირანზე უმაგალითო ეკონომიკური ზეწოლა განხორციელდება.

– ირანს თავის გადარჩენისთვის ზრუნვა მოუწევს, – თქვა სახელმწიფო მდივანმა.

პომპეომ ხაზი გაუსვა, რომ სანქციებს იმ ევროპული კომპანიების მიმართაც განახორციელებენ, რომლებიც ირანში ბიზნესს ეწევიან.

ამ განცხადებამ პირველი შედეგები უკვე მოიტანა. რამდენიმე ფრანგული კომპანია ირანიდან წავიდა.

ცსს-ს ახალი დირექტორი მოვალეობის შესრულებას შეუდგა

ცსს-ს ახალი დირექტორი ჯინა ჰასპელი მოვალეობის შესრულებას შეუდგა. სათანადო ცერემონია ცსს-ის მთავარ შტაბ-ბინაში შედგა.

ექსპერტები ხაზს უსვამენ, რომ ჰასპელი პირველი ქალია, რომელიც ამერიკის დაზვერვას ჩაუდგა სათავეში. ამას გარდა, ის ოპერატიული განყოფილების პირველი ოფიცერია, რომელიც ცსს-ის დირექტორი გახდა.

– ჰასპელი პროფესიონალია, რომელიც არა რომელიმე პოლიტიკოსს ან პარტიას, არამედ სამშობლოს ემსახურება, – თვლის სენატორი დემოკრატი უორნერი.

სენატორის აზრით, ჰასპელი, თუ აუცილებლობამ მოითხოვა, პრეზიდენტთან კამათსაც არ მოერიდება. ის არ შეასრულებს ისეთ მითითებას, რაც სამშობლოს ინტერესებს ან მორალის ნორმებს ეწინააღმდეგება.

– ჰასპელი ოფიცერია, ანუ ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი ცნებები სამშობლო და ღირსება, – ამბობს უორნერი.

ბორის ჯონსონი: „რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციები უნდა გამკაცრდეს!“

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბორის ჯონსონი მიიჩნევს, რომ რუსული ექსპანსიონიზმის შეჩერება აუცილებელია. მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ თუკი რუსებს დღესვე არ შეაჩერებენ, ხვალ ეს მსოფლიოს ძალიან ძვირი დაუჯდება.

– მიუნხენის შეთანხმებამ, რაც „გერმანიის დაშოშმინების“ პოლიტიკის ნაწილი იყო, მხოლოდ ნაცისტების მადის ზრდა განაპირობა. ამას კი მეორე მსოფლიო ომი მოჰყვა, – თქვა ჯონსონმა.

ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი აცხადებს, რომ დადგა დრო, როცა სანქციები უშუალოდ პუტინის და მისი უახლოესი გარემოცვის მიმართ უნდა იქნას შემოღებული.

– რუსების შიშველი უკანალი მსოფლიომ უკვე დაინახა! დროა, მსოფლიოს ტიტლიკანა რუსები ვაჩვენოთ, – ამბობს ჯონსონი.

რუსეთის დუმამ ანტიდასავლური სანქციების შემოღებას მხარი დაუჭირა

რუსეთის სახელმწიფო დუმამ მიიღო კანონი აშშ-ისა და მისი მოკავშირეების მიმართ სანქციების შემოღების შესახებ.

საუბარია რიგი საერთაშორისო შეთანხმების შეჩერებასა და ტვირთბრუნვის შეზღუდვაზე.

– ცივი ომი რუსეთ-დასავლეთს შორის ახალ ფაზაში შედის, – ასეთია ექსპერტ ვიტალი პორტნიკოვის კომენტარი.

ბულგარეთის პრეზიდენტი მოსკოვში ჩავიდა

ბულგარეთის პრეზიდენტი რუმენ რადევი მოსკოვში ჩავიდა. ის პრემიერ მედვედევს შეხვდა. რადევმა განაცხადა, რომ ბულგარეთი რუსეთის გაზის მიღებით დაინტერესებულია, ამიტომ შავი ზღვის ფსკერზე გაზსადენის მშენებლობის იდეით გამოდის.

– რუსეთი და ბულგარეთი მუდამ პარტნიორები იყვნენ, – თქვა რადევმა.

ექსპერტები ხაზს უსვამენ, რომ ბულგარეთი საპარლამენტო რესპუბლიკაა. არც საპარლამენტო უმრავლესობა, არც პრემიერი რადევის პრორუსულ შეხედულებას არ იზიარებს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სახალხო მკურნალი ილამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

სხვადასხვა

● შევიძენ ნახატ სურათებს, წიგნებს, ძველ ნივთებს. ტელ: 598-43-98-57.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების თავიდან აცილება, ნერვული სისტემის და ღვიძლის პრობლემების ნორმალიზება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით, ტელ: 599-25-44-14 ექიმი მზია, 218-48-99 (სამსახ.). მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● პოტენციის დაქვეითებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციების ნორმალიზება, პროსტატის ჯირკვლისა და შარდვის პროცესების მოწესრიგება, ბაქტერიულ-სოკოვან ინფექციათა საწინააღმდეგო მოქმედება იმუნიტეტის გაძლიერებით, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან უჯრედულ დონეზე. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით. ტელ: 595-293-299; 218-46-08 (სამსახ.) ექიმი ინგა. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-5 სმ-ის მომატებით ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშები. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე გახდომა 5-15 კგ თვეში რაციონის შეუცვლელად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, სწრაფად და ეფექტურად. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● ძვლის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება – კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ართრიტის დროს. დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის ნორმალიზება მცენარეული საშუალებებით, საუკეთესო შედეგით. ტკივილისა და შებოჭილობის სინდრომის შემცირება უკუჩვენების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

ვლადიმირ გაზაევი რუსთავს აღარ გაწვრთნის

ეროვნულ ლიგაში საჩხერის ჩიხურასთან 0:4 წაგების შემდეგ ვლადიმირ გაზაევი რუსთავს აღარ გაწვრთნის. კონტრაქტი ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე გაწყდა.

შეგახსენებთ, გაზაევმა რუსთავი სეზონის დასაწყისში ჩაიბარა და ეს გუნდი 12 ტურის შემდეგ ეროვნულ ლიგაში მეექვსე ადგილზეა.

სეზონის ბოლომდე რუსთავს ვარლამ კილასონია გაწვრთნის, რომლის ხელმძღვანელობით ქვემოქართლური კლუბი ელიტას დაუბრუნდა.

20-წლამდე ნაკრების შემადგენლობა ცნობილია

საქართველოს 20-წლამდე მორაგბეთა მთავარმა მწვრთნელმა, ილია მაისურაძემ, საფრანგეთში გამგზავრებამდე გუნდის სატურნირო რაზმი დაასახელა. აღნიშნულ ტურნირზე უმცროსი ბორჯღალოსნები ზედიზედ მესამედ იასპარეზებენ.

ნაკრების მთავარი მწვრთნელის ილია მაისურაძის განცხადებით, ტრავმებმა მორაგბეების შერჩევაში ხელი არ შეუშალა და მსოფლიოზე ყველა ის მორაგბე მიდის, ვისი ხილვაც სურდა.

ილია მაისურაძე:

– ეს 20-წლამდელთა ჩემპიონატია და დაღვინებულ, გამოცდილ მორაგბეებს დიდი ფასი აქვთ. ძალიან რთულ ჯგუფში ვართ, ვხვდებით ექვსი ერის გამარჯვებულ საფრანგეთს, ძალიან ძლიერ სამხრეთ აფრიკას და ირლანდიას. შარშანდელის მსგავსად, მიზნად უძლიერესთა შორის დარჩენას ვისახავთ და ვეცდებით, აქცენტი მესამე-მეოთხე თამაშზე გავაკეთოთ.

20 წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატი, 30 მაისიდან 17 ივნისის ჩათვლით, საფრანგეთში გაიმართება. საქართველოს ნაკრები ჩ ჯგუფში საფრანგეთის, სამხრეთ აფრიკისა და ირლანდიის ნაკრებ გუნდებთან ერთად ითამაშებს.

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები საფრანგეთში შემდეგი შემადგენლობით გაემგზავრება:

შერკინება: გურამ გოგიჩაშვილი (რასინგი, საფრანგეთი), გიორგი ნუცუბიძე (ჯიქი გორი), ლევან პაპიძე (ლელო-სარასენსი), თენგო ზამთარაძე (ლელო-სარასენსი), გიორგი მენაბდე (ბათუმი), ლუკა ჯაფარიძე (ლელო-სარასენსი), გია ხარაიშვილი (არმაზი მარნეული), ლუკა აზარიაშვილი (მონპელიე, საფრანგეთი), ლაშა ჯაიანი (ექსეთერი, ინგლისი), ბექა საღინაძე (ლელო-სარასენსი), ლუკა გელაშვილი (ჯიქი გორი), არჩილ აბესაძე (ლელო-სარასენსი), სანდრო მამამთავრიშვილი (ლელო-სარასენსი), თორნიკე ჯალაღონია (ჯიქი გორი), თენგიზ გიგოლაშვილი (არმაზი მარნეული), არსენ მაჩალაძე (აია ქუთაისი).

ხაზი: გელა აფრასიძე (მონპელიე), ლუკა დვალიშვილი (არმაზი მარნეული), მიხეილ ალანია (ჯიქი გორი), თედო აბჟანდაძე (აია ქუთაისი), გიორგი წიკლაური (ჯიქი გორი), სანდრო სვანიძე (არმაზი მარბეული), ლაშა ლომიძე (აია ქუთაისი), დემე თაფლაძე (ლელო-სარასენსი), ოთარ ძაგნიძე (აია ქუთაისი), თემურ ჭიჭინაძე (ჯიქი გორი), კოტე მარჯანიშვილი (ლოკომოტივი), ბექა მამუკაშვილი (ლელო-სარასენსი).

არგენტინა და ესპანეთი მუნდიალისთვის მზად არიან

არგენტინის ეროვნული ნაკრების თავკაცმა ხორხე სამპაოლიმ გაფართოებული შემადგენლობა გაცხრილა და მსოფლიო ჩემპიონატისთვის 23 კაცი შეარჩია.

მეკარეები: სერხიო რომერო (მანჩესტერ იუნაიტედი), ვილფრედ კაბალიერო (ჩელსი), ფრანკო არმანი (რივერ პლეიტი);

მცველები: გაბრიელ მერკადო (სევილია), კრისტიან ანსალდი (ტორინო), ნიკოლას ოტამენდი (მანჩესტერ სიტი), ფედერიკო ფასიო (რომა), მარკოს როხო (მანჩესტერ იუნაიტედი), ნიკოლას ტაგლიაფიკო (აიაქსი), მარკოს ასუნა (სპორტინგი);

ნახევარმცველები: ხავიერ მასკერანო (ჰებეი ჩაინა), ედუარდო სალვიო (ბენფიკა), ლუკას ბილია (მილანი), ჯოვანი ლო სელო (პსჟ), ეგერ ბანეგა (სევილია), მანუელ ლანსინი (ვესტ ჰემი), მაქსიმილიანო მეზა (ინდეპენდიეტე), ანხელ დი მარია (პსჟ), კრისტიან პავონი (ბოკა ხუნიორსი);

თავდამსხმელები: ლიონელ მესი (ბარსელონა), პაოლო დიბალა (იუვენტუსი), გონსალო იგუაინი (იუვენტუსი), სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი).

ესპანეთის ნაკრების მწვრთნელმა ხულენ ლოპეტეგიმ მსოფლიოს ჩემპიონატის საბოლოო განაცხადი გამოაქვეყნა.

ლოგოპეტის რჩეულთა სია ასეთია:

მეკარეები: დავიდ დე ხეა (მანჩესტერი), პეპე რეინა (ნაპოლი), კეპა არისაბალაგა (ბილბაო);

მცველები: დანიელ კარვახალი, სერხიო რამოსი, ნაჩო (ყველა რეალი), ალვარო ოდრიოზოლა (სოსიედადი), ჟერარ პიკე, ჟორდი ალბა (ორივე ბარსელონა), სესარ ასპილიკუეტა (ჩელსი), ნაჩო მონრეალი (არსენალი);

ნახევარმცველები: სერხიო ბუსკეტსი, ანდრეს ინიესტა (ორივე ბარსელონა), საულ ნიგუესი, კოკე (ორივე ატლეტიკო), ტიაგო ალკანტარა (ბაიერნი), დავიდ სილვა (მანჩესტერ სიტი), ისკო, მარკო ასენსიო, ლუკას ვასკესი (ყველა რეალი);

თავდამსხმელები: იაგო ასპასი (სელტა), როდრიგო (ვალენსია), დიეგო კოშტა (ატლეტიკო).

მახარაძე და ვაჩიბერაძე საქართველოს ნაკრებში გამოიძახეს

საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები ერთა ლიგის მოსამზადებელი ეტაპის ფარგლებში ორ ამხანაგურ თამაშს ჩაატარებს. ქართველი ფეხბურთელები, ვლადიმირ ვაისის ხელმძღვანელობით, ავსტრიაში მდებარე დაბა ბად ჰერინგში 26 მაისიდან შეიკრიბებიან. ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა უახლოესი ორი ამხანაგური მატჩისთვის 26 მოთამაშისგან დაკომპლექტებული შემადგენლობა დაასახელა.

ეროვნულ ნაკრებში პირველად თამაშის შანსი ეძლევა დონეცკის ოლიმპიკის მეკარე ზაურ მახარაძეს. უკრაინული კლუბის 25 წლის წევრმა საქართველოს მოქალაქეობა მიიღო და გუნდთნ ერთად საწვრთნელ შეკრებაზე იქნება.

მახარაძე უკრაინაში დაიბადა და ქვეყნის ასაკობრივ ნაკრებებშიც უთამაშია. 25 წლის მეკარე ოლიმპიკის კაპიტანია და მთელი კარიერა სწორედ დონეცკურ კლუბში აქვს გატარებული (134 მატჩი). ვრცელდება ინფორმაცია, რომ ზაფხულში მახარაძე უფრო ამბიციური კლუბის მაისურს მოირგებს.

გიორგი მაკარიძის უთამაშებლობის პერიოდში, გიორგი ლორიასა და ნუკრი რევიშვილის არცთუ დამაჯერებელი სეზონების გათვალისწინებით, მახარაძის „გაქართველება“ კარგი გადაწყვეტილებაა, რაც ხელს შეუწყობს ნაკრებში კონკურენციის ზრდას.

შეგახსენებთ იმასაც, რომ დეკემბერში კიდევ ერთმა „უკრაინელმა“, ბექა ვაჩიბერაძემ, დაიბრუნა საქართველოს მოქალაქეობა და მასაც ექნება შანსი, ნაკრებში სადებიუტო მატჩი ჩაატაროს.

ნაკრებში სადებიუტო მატჩის ჩატარების შესაძლებლობა ექნება გიორგი ბერიძეს (ტრენჩინი, სლოვაკეთი) და საქართველოს ეროვნულ ლიგაში მოასპარეზე, თბილისის დინამოს წევრს ლევან ხარაბაძეს.

მნიშვნელოვანი საკლუბო შეხვედრების გამო, კლუბსა და ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბს შორის არსებული კომუნიკაციის საფუძველზე, ავსტრიასა და ლუქსემბურგში დაგეგმილ შეხვედრებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ გიორგი პაპუნაშვილი და ოთარ კაკაბაძე. სავარაუდოდ, ლუქსემბურგთან თამაშის შესაძლებლობა ექნება უნგრეთის ჩემპიონატში მოასპარეზე ბაჩანა არაბულს. ასევე მალტასთან, ავსტრიაში ჩასატარებელ მატჩში მონაწილეობას ვერ მიიღებენ ჯაბა კანკავა, ნიკა კვეკვესკირი და ჯაბა ჯიღაური. სამივე მოთამაშე ნაკრებს ლუქსემბურგში შეურთდება. ამხანაგურ მატჩებს, ტრავმების გამო აგრეთვე რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი გამოტოვებს.

საქართველო-მალტის შეხვედრა ავსტრიის ქალაქ შვაცში 1 ივნისს შედგება, 3 ივნისს საქართველოს ნაკრები ლუქსემბურგში გადაინაცვლებს. ლუქსემბურგისა და საქართველოს საფეხბურთო დაპირისპირება 5 ივნისს გაიმართება.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ამხანაგურ მატჩებში:

მეკარეები: გიორგი მაკარიძე (რიუ ავე, პორტუგალია), როინ კვასხვაძე (ტორპედო, ქუთაისი), ზაურ მახარაძე (ოლიმპიკი, დონეცკი);

მცველები: გურამ კაშია (ვიტესი, ჰოლანდია), ჯაბა ჯიღაური (ორდაბასი, ყაზახეთი), ლევან გეგეჭკორი (რუსთავი) სოლომონ კვერკველია (ლოკომოტივი, მოსკოვი), დავით ხოჭოლავა (შახტარი,დონეცკი), ლაშა დვალი (პოგონი, პოლონეთი), გიორგი ნავალოვსკი (სკა-ენერგია, რუსეთი), ლაშა შერგელაშვილი (რიგასი, ლატვია), ლევან ხარაბაძე (დინამო, თბ);

ნახევარმცველები: ჯაბა კანკავა, ნიკა კვეკვესკირი (ორივე ტობოლი, ყაზახეთი), გიორგი აბურჯანია (სევილია, ესპანეთი), ოთარ კიტეიშვილი (დინამო, თბილისი), ვაკო გვილია (ლუცერნი, შვეიცარია), ბექა ვაჩიბერაძე (რიგასი, ლატვია), საბა ლობჟანიძე (რანდერსი, დანია), გიორგი ბერიძე (ტრენჩინი, სლოვაკეთი), გიორგი ჩაკვეტაძე (გენტი, ბელგია), ვახტანგ ჭანტურიშვილი (სპარტაკი, ტრნავა, სლოვაკეთი);

თავდამსხმელები: ნიკა კაჭარავა (კორონა, პოლონეთი), ბუდუ ზივზივაძე (დინამო, თბილისი), ლადო დვალიშვილი (ჰაპოელ აშქელონი, ისრაელი), ბაჩანა არაბული (ბალმაზუივაროში, უნგრეთი).

საქართველოს ნაკრები წლის პირველ ოფიციალურ მატჩს 6 სექტემბერს ჩაატარებს. ყაზახეთისა და საქართველოს საფეხბურთო დაპირისპირება უეფას ერთა ლიგის გათამაშების პირველი შეხვედრა იქნება. აღნიშნული შეხვედრა ასტანაში შედგება.

ჯანლუიჯი ბუფონი: „როდესაც ბუფონი აღარ ვიქნები, ფეხბურთიდან მაშინ წავალ“

„ფეხბურთს რომ არ გავყოლოდი, ფიზიკის მასწავლებელი გამოვიდოდი“

ესპანეთის ნაკრებისა და ბარსელონის მცველმა ჟერარ პიკემ დროებით პროფესია შეიცვალა. კატალონიელი ფეხბურთელი ტურინს ეწვია და ჟურნალისტობა შეითავსა რუბრიკაში – „ფეხბურთელების ტრიბუნა“.

ალბათ რთული გამოსაცნობი არ იქნება, თუ ვინ იქნებოდა პიკეს რესპონდენტი ტურინში – ცხადია, ჯანლუიჯი ბუფონი.

– ჯიჯი, მადლობა, რომ შემხვდი ტურინის სპორტულ ცენტრში. მე ბევრს ვკითხულობ შენ შესახებ და ვიცი, რომ შენი მშობლები და დებიც სპორტსმენები იყვნენ.

– დიახ, სპორტსმენების ოჯახში დავიბადე. ყოველთვის ვიცოდი, რომ სპორტი ჩემი მომავალი იყო. დედმამა სპორტსმენები ეროვნული დონეზე იყვნენ, ხოლო ჩემი დები ფრენბურთს სერია ა-ში თამაშობდნენ. ერთ-ერთმა ფრენბურთის ჩემპიონთა ლიგაც მოიგო, ჩემგან განსხვავებით... მე ვიყავი ერთადერთი, რომელიც ოჯახში პროფესიონალი სპორტსმენი არ იყო და მინდოდა, რომ ეს გამეკეთებინა. გამიმართლა, რომ ფეხბურთს გავყევი და მეკარე გავხდი.

– პირველი მოგონება ფეხბურთიდან?

– 4 წლის ვიყავი, როდესაც 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი იტალიამ მოიგო.

– მე ჯერ კიდევ არ ვიყავი დაბადებული!

– მეც ძალიან პატარა ვიყავი მუნდიალისთვის. მაგრამ მახსოვს, რომ დიდები ტელევიზორში უყურებდნენ იტალიის მატჩებს გაოცებული თვალებით.

– პირველი მატჩი 17 წლის ასაკში მილანთან ჩაატარე და გოლი არ გაუშვი.

– დიახ.

– ეს ყველა მეკარის ოცნებაა?

– რა თქმა უნდა.

– როგორ დაიწყე ასეთ ახალგაზრდულ ასაკში პარმაში თამაში, რომელიც იმ პერიოდში იტალიაში ერთ-ერთი საუკეთესო კლუბი იყო?

– 90-იანი წლების შუაში, დაახლოებით 10 წელი, პარმა ევროპაშიც საუკეთესოებში იყო. 10 წელში ორჯერ მოიგო უეფას თასი, იტალიის თასი და სუპერთასი. ეს იყო უმაღლესი დონის გუნდი იმ პერიოდში. დებუტი კი მნიშვნელოვან თამაშში მქონდა. ჩემპიონატში პირველ ადგილზე ვიყავით, „მილანთან“ ერთად თანაბარი ქულები გვქონდა. „როსონერის“ საოცარი ფეხბურთელები ჰყავდა: ბაჯო, ვეა, სავიჩევიჩი, მალდინი... მხოლოდ 17 წლის ვიყავი და უნდა მეთამაშა. იმ დილას მწვრთნელმა მითხრა, რომ მოედანზე უნდა გავსულიყავი. შიში არ მქონია, პირიქით, ბედნიერი ვიყავი და ვამაყობდი. მახსოვს, რომ ჩემს თავს ვეუბნებოდი, ეს არის პირველი შანსი მსოფლიოს დავუმტკიცო, რომ კარგი მეკარე ვარ. მახსოვს, რომ სიხარულმა შიში სრულიად გადაფარა.

– 19 წლის ასაკში ეროვნულ ნაკრებში გქონდა დებიუტი.

– მეხუთედ ან მეექვსედ ვიყავი ნაკრებში მიწვეული, მაგრამ თამაში არ მიწვევდა, რადგან ჩვენ გვყავდა ისეთი მეკარეები, როგორებიც პერუცი და პალიუკა იყვნენ და ძირითადში თამაშს ჩემზე მეტად იმსახურებდნენ. მსოფლიოს ჩემპიონატის პლეი-ოფის მატჩს მოსკოვში ვატარებდით. 25-ე წუთზე პალიუკამ მუხლი დაიზიანა და შეცვლა მოითხოვა. თამაში ძალიან მსურდა, მაგრამ ბედნიერი არ ვიყავი, რადგან მთელი მოედანი თოვლით იყო დაფარული. ეს თამაში იტალიისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, წყდებოდა, ვითამაშებდით თუ არა მუნდიალზე. გახურება დავიწყე და ორ წუთში მოედანზე გავედი. კონცენტრირებული ვიყავი, შიშმა დამტოვა. ხუთი წუთის შემდეგ რუსეთს კარგი მომენტი ჰქონდა, მაგრამ მარცხენა ხელით შესანიშნავი ბურთი მოვიგერიე. ეს ეპიზოდი ძალიან დამეხმარა, რომ თამაშში კარგად ჩავრთულიყავი.

– ისტორიაში ხარ შესული, რადგან ხუთ მსოფლიოს ჩემპიონატზე იყავი. მხოლოდ სამი ადამიანია, რომლებმაც ეს შეძლეს. შენ, მათეუსი და... ჰო, მექსიკელი (პიკე მექსიკელ მეკარე კარვახალს გულისხმობს).

გაგრძელება მე-10 გვერდზე

შედეგები

21 მაისი

ფეხბურთი

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ლუგო-უესკა 0:2

დანია. სუპერლიგა

ბრონდბიუ-ოლბორგი 1:1
მიდტიულანდი-ჰორსენსი 1:0
ნორდსიელანდი-კოპენჰაგენი 0:0
რანდერსი-ლუნგბიუ 2:1
სილკებორგი-ჰელსინგერი 4:3
სილკებორგის შემადგენლობა. გოლი დავით სხირტლაძემ გაიტანა

შვედეთი. ალსვენსკა

ელფსბორგი-გიოტებორგი 1:1
გიოტებორგის გოლი გიორგი ხარაიშვილმა გაიტანა

ნოჰვეგია. ელიტსერია

კრისტიანსუნდი-სტრომგოდსეტი . 4:0
რანჰეიმი-მიოლდე 3:1
სანდერფიორდი-სარპსბორგი 0:1
სტაბეკი-ოდ გრელანდი 2:1
სტარტი-ბოდო გლიმდტი 1:0
ტრომსო-ვოლერენგა 3:0
ჰაუგესუნდი-რუსენბორგი 1:2
ლილესტრიომი-ბრანი 1:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

არსენალის მწვრთნელი შესაძლოა უნაი ემერი გახდეს



არსენალის მომავალი მწვრთნელის ვინაობა კვლავინდებურად უცნობია, თუმცა ამ კანდიდატურაზე რამდენიმე ადამიანი განიხილება. ერთ-ერთი კანდიდატი უნაი ემერია, რომელმაც პსჟ დატოვა. ემერი ამჟამად ლონდონში იმყოფება და შესაძლოა ის სწორედ არსენალის ხელმძღვანელობასთან აწარმოებს მოლაპარაკებებს.

ემერი ჯერჯერობით კომენტარს არ აკეთებს და საბოლოოდ ყველაფერი ზაფხულში გადაწყდება.

შეგახსენებთ, რომ არსენალი არსენ ვენგერმა დატოვა, რომელიც ამ გუნდს 22 წლის განმავლობაში ედგა სათავეში. ვენგერმა გადაწყვეტილება აპრილის ბოლოს მიიღო.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

პრინც ჰარისა და მეგან მარკლის ქორწილის ღირებულება დადგინდა

ბრიტანეთის პრინც ჰარისა და მსახიობ მეგან მარკლის ქორწილი სამეფო ოჯახს 43 მილიონი დოლარი დაუჯდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი პორტალი ავრცელებს.

ჟურნალისტებმა გამოთვალეს ცერემონიის სავარაუდო ღირებულება, რომლის დროსაც საზეიმო ღონისძიებების სერვისზე იქნა აქცენტი გაკეთებული. ვარაუდობენ, რომ თანხის დიდი ნაწილი – 40 მილიონი დოლარი დაცვის უზრუნველყოფაზე დაიხარჯა.

გამოცემის აზრით, ქორწილის ორგანიზატორთა მომსახურება 150 ათასი დოლარი დაჯდა. მუსიკოსებს 400 ათას დოლარზე მეტი გადაუხადეს, ფლორისტების ნამუშევარი 150 ათასად შეფასდა, ფოტოგრაფებისა და ოპერატორების – 23 ათას დოლარად. ჟურნალისტებმა გამოითვალეს, რომ სტუმრების გამასპინძლებაზე 385 ათასი დოლარი დაიხარჯა. ცალკე იქნა ნაანგარიშები საქორწინო ტორტი, რომელიც 65 ათას დოლარზე მეტი დაჯდა.

მეგან მარკლის კაბა, რომელიც ფრანგულმა მოდის სახლმა Givenchy-მ დაამზადა, დაახლოვებით 550 ათასი დოლარი დაჯდა, ეს კეიტ მიდლტონის საქორწინო კაბაზე თითქმის ორჯერ ძვირია. მარკლმა საკუთარი მოკაზმულობის ფული თავად გადაიხადა.

შეგახსენებთ, რომ პრინც ჰარისა და მეგან მარკლის ქორწილი 19 მაისს უინძორის ციხესიმაგრეში შედგა. ცერემონიას 2,6 ათასი სტუმარი ესწრებოდა, მათ შორის მომღერალი ელტონ ჯონი, ამერიკელი ტელეწამყვანი ოპრა უინფრი, ჩოგბურთელი სერენა უილიამსი, მსახიობი ჯორჯ კლუნი, ვიქტორია და დევიდ ბექჰემები, ასევე სამეფო ოჯახის წევრები.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯანლუიჯი ბუფონი: „როდესაც ბუფონი აღარ ვიქნები, ფეხბურთიდან მაშინ წავალ“



დასაწყისი მე-9 გვერდზე

– კი, მექსიკელი მეკარე.

– როგორი გრძნობაა?

– კარგი, ვამაყობ.

– უკან დიდი შრომაა?

– ნიჭი საჭიროა, მაგრამ ძალისხმევაც აუცილებელია. სასიამოვნოა იმის ცოდნა, რომ 5 მუნდიალზე ვიასპარეზე. შესანიშნავი იყო ორჯერ ევროპაში, თითოჯერ აზიაში, აფრიკასა და სამხრეთ ამერიკაში თამაში.

– ასეთ დეტალზე მე არც ვიფიქრებდი.

– ყველა კონტინენტზე მაქვს ნათამაშები. განსაკუთრებული იქნებოდა მეექვსე მუნდიალზე თამაში, მაგრამ ხანდახან ყველაფერი არ გამოდის.

– იტალიამ 2006 წელს მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო. რა გახსოვს, რას გრძნობდი?

– ჩემპიონობის გარდა, გერმანიაში ფინალი იტალიელებისთვის განსაკუთრებული ფაქტი იყო. ბევრი იტალიელი ცხოვრობდა ის ერთი თვე გერმანიაში და მხარს გვიჭერდნენ. თავი მარტო არასდროს გვიგრძნია. ორი საოცარი მოგონება მაქვს. ჩემპიონობა და გერმანიასთან ნახევარფინალი.

– 2:0?

– დიახ. ეს იყო ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე ნერვული მომენტი. როდესაც ამაზე ვფიქრობ, ცუდად ვხდები. გერმანიასთან თამაში საშინლად რთული იყო. მერე, დამატებით დროში 2:0 მოვიგეთ. როდესაც სასტუმროში დავბრუნდით, დილის 5 საათზე, 10.000 იტალიელი გველოდებოდა.

– დაუჯერებელია.

– განსაკუთრებული ის იყო, რომ ამ გამარჯვების შემდეგ მშვიდად ვიყავით. თითქოს მსოფლიოს ჩემპიონები უკვე ვიყავით. ეს სიგიჟე იყო.

– ადვილი არ არის, გახვიდე ფინალში და აღნიშნავდე, თითქოს უკვე ჩემპიონი ხარ. ეს ძალიან ცუდია!

– ეს მართლაც გიჟური მომენტი იყო. 12 წლის შემდეგ ვიხსენებ საფრანგეთის ნაკრებს და ვხედავ, რამდენად ძლიერი გუნდი იყო. ჩვენ კი უკვე ჩემპიონებად ვთვლიდით თავს, მაგრამ უნდა გვეთამაშა ძალიან ძლიერი გუნდის წინააღმდეგ. ჩვენ ბეწვის ხიდზე ვიყავით. გასაკვირია, მაგრამ ფრანგებთან ფინალი ჩემთვის ნაკლებად სტრესული გახლდათ. გერმანიასთან მატჩამდე 6 თუ 7 საათი მეძინა, საფრანგეთთან თამაშის წინ კი – მხოლოდ 2 საათი. ადვილი არ ყოფილა. ჩემპიონობის სიხარული გაცილებით ძლიერი იყო რამდენიმე დღის შემდეგ, ვიდრე იმ მომენტში, როდესაც თამაში დასრულდა.

– შემდეგ იყო წარუმატებელი გამოსვლა სამხრეთ აფრიკასა და ბრაზილიაში. ამას კი ახლა მუნდიალზე ვერგასვლაც დაემატა. ფიქრობ, რომ იტალიურ ფეხბურთში დიდი ცვლილებებია საჭირო, რათა დიდება დაიბრუნოს?

– ვფიქრობ, რაღაც არასწორად კეთდება, მაგრამ არ შემიძლია დაჯერება, რომ იტალიაში აღარ არიან ნიჭიერი ფეხბურთელები, როგორც ადრე. როდესაც ნაკრებში დებიუტი მქონდა, ჩვენ გვყავდა ბაჯო, დელ პიერო, ტოტი, ინძაგი, მონტელა, ვიერი – ყველა დიდი ფეხბურთელი და უდიდესი ტალანტი. ბოლო 10 წელში იტალიას კარგი გუნდი ჰყავდა, ჩვენ არ გვაქვს მწირი რესურსი, მაგრამ ისეთი ნიჭიერი ფეხბურთელების გარეშე, რაც ადრე გვყავდა, შედეგის ჩვენება რთულია. ამ ათი წლის განმავლობაში არ გვქონია გამარჯვებები, მაგრამ 2012 წელს ევროპის ჩემპიონატის ფინალში ვითამაშეთ, ორი წლის წინაც კარგი ტურნირი ჩავატარეთ. ჩვენი სიამაყე გვეხმარებოდა.

– ფიქრობ, რომ სერია ა პრემიერლიგისა და ლა ლიგის დონის ჩემპიონატი არ არის? და რომ იუვენტუსი ერთადერთი იტალიური გუნდია, რომელსაც ჩემპიონთა ლიგის მოგება შეუძლია?

– შესაძლოა. შეიძლება ეს იყოს სიმართლე. ჩვენი პრობლემა ჩემპიონატი არაა, მაგრამ ინდივიდუალურობა გვაკლია, განსაკუთრებით ფეხბურთელებში.

– ნიჭის ნაკლებობაა?

– დიახ. სერია ა შესაძლოა, ახლა დაბალ დონეზე იყოს, მაგრამ ნაკრების პრობლემა ეს არაა. თუ ნიჭიერი მოთამაშეები იქნებიან, წავლენ პსჟ-ში ან მადრიდის რეალში და ნაკრები მაინც მაღალ დონეზე დარჩება. მაგრამ დღეს, ვერატის გარდა, არ გვყავს ფეხბურთელები, რომლებიც ტოპგუნდებში თამაშობენ, თუ საქმე იუვენტუსს არ ეხება. ეს დიდი პრობლემაა.

– იუვენტუსზე ვისაუბროთ. სერია ბ-ში დააქვეითეს, შენ გუნდში დარჩი. ეს იყო სიყვარულის დემონსტრაცია, მაგრამ დიდი რისკიც. შეგეძლო აგერჩია გუნდი, რომლის შემადგენლობაში ჩემპიონთა ლიგას მოიგებდი, მაგრამ გადაწყვიტე ქვედა ლიგაში თამაში. როგორი იყო იქ თამაში და იყო თუ არა ეს სწორი გადაწყვეტილება?

– როდესაც იუვენტუსში დარჩენა გადავწყვიტე, ბედნიერი ვიყავი, რადგან ვფიქრობ, რომ ფეხბურთს კაცები თამაშობენ. გულშემატკივრების სიყვარული იმაზე მეტია, ვიდრე პოპულარობა და ფული. ჩვენ მოვიგეთ სერია ბ და შემდეგ 2 კარგი სეზონი გვქონდა სერია ა-ში. დავიკავეთ მე-2 და მე-3 ადგილი. მერე იყო 2 ძალიან ცუდი წელი, როდესაც იუვენტუსს ვერ იცნობდით. ჩვენ დავკარგეთ ჩვენი სული, ვინაობა, ეთიკა. მეშვიდე ადგილს ვიკავებდით ზედიზედ 2 სეზონი, მაგრამ მე ოპტიმისტურად ვიყავი განწყობილი. დარწმუნებული ვიყავი, რომ შრომით ყველაფერი გამოსწორდებოდა. ყოველთვის ვამბობ, რომ 6 წლის შემდეგ, როდესაც ჩემპიონები გავხდით, ძალიან ბენდიერი ვიყავი.

ეს იყო რთული გადაწყვეტილება, რადგან 6 წელი მართლაც ცუდი გამოდგა, ჩემპიონთა ლიგაზე ძალიან ცოტას ვთამაშობდით. თუმცა ჩვენ დავბრუნდით.

– გიფიქრია ამ 6 წელიწადში გუნდის დატოვებაზე? 23-წლიან კარიერაში მხოლოდ 2 გუნდში ითამაშე და ორივე იტალიურში. უცხოეთში თამაში არ გსურდა?

– მომწონს, როდესაც სხვადასხვა კულტურის ადამიანებთან მაქვს ურთიერთობა, ეს მიმზიდველია, მაგრამ მე სიღრმისეულად იტალიელი ვარ. როგორც სპორტულ ფიგურას, არასდროს მქონია სურვილი, რომ იტალია დამეტოვებინა.

– 23 წელია, პროფესიონალი ხარ. ფეხბურთი შეიცვალა, ისევე, როგორც მეკარეების თამაში. ახლა ფეხით თამაში მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს შენ არ გჭირდება.

– ჩემთვის კარგი ცვლილება იყო, რადგან ფეხბურთი ამით გაუმჯობესდა. უფრო საინტერესოა და უფრო ნაკლები დრო იკარგება. ვფიქრობ, მეც დამეხმარა ეს.

– რამდენიმე თვის წინ თქვი, რომ ეს იქნებოდა ბოლო სეზონი. მაგრამ მე ვესაუბრე კიელინის და მან მითხრა, რომ ბუფონი კარიერას ჯერ არ დაასრულებს. ვნახავ ბუფონს მოედანზე კიდევ 2 წლის განმავლობაში?

– ვფიქრობ, ჩემს ასაკში სიტუაცია კარგად უნდა შეაფასო თვიდან თვემდე, კვირიდან კვირამდე. რადგან სპორტსმენები, როგორიც შენ ხარ, მე ვარ, ყოველთვის ფიქრობენ, რომ მაღალ დონეზე დარჩნენ. ფიზიკურად კარგად უნდა გრძნობდე თავს და საკუთარი სიამაყე არ უნდა დაკარგო. მე ბუფონი ვარ და მინდა ბოლომდე ბუფონი ვიყო. როცა მე ბუფონი აღარ ვიქნები, ფეხბურთიდან წავალ. ძალიან ბედნიერი ვარ, მიყვარს ფეხბურთის თამაში, ეს ატმოსფერო და ის მეგობრები, რომლებსაც მოედანზე ვეხმარები. როცა ამას ვერ შევძლებ, პრობლემა არაა, წავალ. მე მქონდა შესანიშნავი კარიერა.

– დარჩები ფეხბურთში? რა არის შენთვის მისაღები პოზიცია?

– მინდა, მენეჯერი გავხდე ან მწვრთნელი. ჯერ არ მაქვს გადაწყვეტილი.

– ვინ იქნებოდი, ფეხბურთელი რომ არ გამოსულიყავი?

– დარწმუნებული ვარ, გაცილებით ცუდი ადამიანი. ალბათ, ფიზიკის მასწავლებელი, როგორც ჩემი მშობლები და ამ მიმართულებით მივდიოდი კიდეც. მაგრამ, ფეხბურთმა გამხადა უკეთესი ადამიანი. ყოველთვის მომწონდა გუნდური მუშაობა. შესანიშნავია, როდესაც სხვებთან ერთად იზიარებ გამარჯვებას, ასევე დამარცხებას. ნაკლებად ეგოისტური ხდები. ფეხბურთმა მომიტანა დიდი პოპულარობა, რომელსაც პოზიტიური და ნეგატიური მხარეები აქვს. ნეგატიურია, როდესაც შეცდომას დაუშვებ და მეორე დღეს, ჟურნალებში, ტელეეკრანებზე შენზე საუბრობენ. მერე ფიქრობ, ეს არ დამიმსახურებია.

– სასიამოვნო იყო შენთან საუბარი. იცი, რომ როდესაც 21 წლის ვიყავი, ბარსელონასა და იუვენტუსს შორის გავაკეთე არჩევანი? შეიძლებოდა, ერთ გუნდში გვეთამაშა.

– ნამდვილად?

– კი, ნამდვილად. მადლობა, ჯიჯი.

– მადლობა შენ!

ასტროპროგნოზი

23 მაისისათვის

ვერძი – მოულოდნელი ახალი ამბავი დაგაღონებთ. ახალი გატაცება ქალებისთვის ხანმოკლე აღმოჩნდება. **კურო** – შორს გამგზავრებაზე უარი თქვით. დღეს მხოლოდ ჩვეული საქმეებით დაკავდით. კოლეგებთან და ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა უმჯობესდება. **ტყუპები** – ახალი საქმის დასაწყებად ერთობ შეუფერებელი დღეა. ნუ გარისკავთ. **კირჩხიბი** – ნებისმიერ ვითარებაში თავს ლაღად გრძნობთ. გიმართლებთ ყველაფერში. **ლომი** – დღეს განსაკუთრებული წინდახედულობა გმართებთ. ზედმეტი მიმნდობლობა შეცდომის დაშვების ალბათობას ზრდის. **ქალწული** – ფინანსური ოპერაციებისგან თავი მაქსიმალურად შეიკავეთ. აქტიურობა დღეს დაუშვებელია. **სასწორი** – ყოფითი საკითხების მოგვარებას ვარსკვლავები არ გირჩევენ. უკმაყოფილო და გაღიზიანებული ხართ. **ღრიანკალი** – ახლობლებთან რთული ურთიერთობა გაქვთ, რაც, პირველ რიგში, თქვენი ბრალია. ნუ იქნებით კატეგორიული და სულსწრაფი. **მშვილდოსანი** – ყოველმხრივ იღბლიანი დღეა. ახალი საქმე შეგიძლიათ თამამად დაიწყოთ. **თხის რქა** – ნურაფერს დაგეგმავთ. რისკი გაუმართლებელია. ალკოჰოლს ერიდეთ. **მერწყული** – სასიცოცხლო და შემოქმედებითი პოტენციალი მაღალია. გრძელვადიანი გეგმები ამართლებს. **თევზები** – ოჯახში ურთიერთობები სტაბილურდება. უსიამოვნებების დავიწყებაში ახლობლები დაგეხმარებიან.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოჰდი ბ



შვეულად: 1. ქართველი მევიოლინე ქალი; 2. დიპლომატიური კურიერის სპეციალური დალუქული ჩანთა; 3. სამთო-სათხილამურო კურორტი საქართველოში; 4. ერთ-ერთი მთავარი ღვთაება ინდუიზმში; 5. საკრედიტო დაწესებულება; 7. პროვინციის მმართველი თურქეთში; 11. ზღვის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 13. ყოველდღიური გაზეთი პორტუგალიაში; 15. ზუთხისებრთა თევზი; 16. ყველაზე მრავალრიცხოვანი ინდიელთა ტომი პერუ-ბოლივია-ეკვადორში; 18. დადუღებული ყურძნის წვენი; 19. რძის პროდუქტების მწარმოებელი ფინური ფირმა.

თარაზულად: 6. მეტროს სახელწოდება ინგლისსა და აშშ-ში; 8. მუსლიმანთა ერთ-ერთი მთავარი დღესასწაული; 9. ჩინეთში წარმოშობილი ქაღალდებიდან ფიგურების შექმნის ხელოვნება; 10. ბრიტანეთის ძველი სახელწოდება; 12. ინდოეთის ეროვნული გმირი; 14. ქულა ძიუდოში; 17. ქართული მინერალური წყალი; 20. ჰაერში დაგროვილი შესქელებული წყლის ორთქლი; 21. ცისკრის ვარსკვლავის ძველი ქართული სახელწოდება; 22. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალში; 23. რაიონული ცენტრი აზერბაიჯანში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჯანაოზი; 2. კინგსტონი; 3. მაჭახელა; 4. ჩამპინო; 5. ბეკარი; 9. ტავრია; 11. დიოგენი; 12. ხარაძე; 14. კალიბრი; 18. ოლიფა; 19. გიუმი.

თარაზულად: 4. ჩანახი; 5. ბაზილიკა; 6. კასაი; 7. ამანათი; 8. აგენტი; 10. გაუდა; 13. ზეკარი; 15. ტრავმა; 16. ლაგი; 17. ტოტო; 20. ისრიმი; 21. დემონი; 22. კაფსულა; 23. მადერა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. გორგაძე; 2. მესეფი; 3. შუშაბანდი; 4. დიბალა; 5. დანსინგი; 7. ოშკი; 11. ძელშავი; 13. ბოღლიწო; 15. ფრუმი; 16. ლანჩა; 18. შონია; 19. ლუარა.

თარაზულად: 6. ოდეონი; 8. ვეჯვუდი; 9. დუბლინი; 10. ასპინძა; 12. სილვა; 14. მაწონი; 17. დუღაშვილი; 20. დიაფანი; 21. თმოგვი; 22. იბერია; 23. საფიხვნო.

ნუკა კვალიაშვილი: „როგორ დიდ ტყუილში ცხოვრობს ყველა... გული მერევა...“

მომღერალი ნუკა კვალიაშვილი არ მალავს, რომ პირდაპირი ადამიანია და ამის გამო, ხშირად პრობლემებიც შექმნია, თუმცა მას სხვანაირად ცხოვრება არ შეუძლია.

მომღერალი ყოველთვის საჯაროდ საუბრობს იმ თემებზე, რაც მასში პროტესტს იწვევს, ამჯერად მისი გაღიზიანება საზოგადოების დიდ ტყუილში ცხოვრებამ გამოიწვია.

ნუკა კვალიაშვილი:

– როგორ დიდ ტყუილში ცხოვრობს ყველა, როგორ იშენებენ უსასრულობამდე ნდობის კედლებს, როგორ სჯერათ იმის, რისიც სჯერათ, ფანტაზიებით და ოცნებებით როგორ იტყუებენ თავს და ამ დროს არავინ არაფერი არ იცის იმის შესახებ, თუ რეალურად ვინ ჰყავთ გვერდზე.

ურთიერთობები ფილმს ჰგავს დრამის ჟანრში, ყველა თამაშობს და საკუთარ როლს ირგებს, ხდება სკანდალები ან თუნდაც ბედნიერი სიტუაციები. მაგრამ მთლიანობაში ერთი დიდი ერთფეროვანი სცენარია, თავიდან ახალი ხილი ყოველთვის საინტერესო და გემრიელია, თუნდაც ახალი ტელეფონი რომ გაქვს, გული გიჩქარდება სიხარულით, ეს შეგრძნება ზუსტად იმ „პეპლებს ჰგავს“, რომელიც ადამიანის მიმართ გიჩნდება, როგორც ახალი ტელეფონი ხდება ძველი და იცვითება, ასევეა ეს შეგრძნებებიც.

თავიდან არავინ არ აჩვენებს ერთმანეთს საკუთარ შავ მხარეს, დროთა განმავლობაში შავი მხარე თვითონ იჩენს თავს სიტუაციებიდან გამომდინარე, ამისდა მიუხედავად, ვინც ეჯახება ამ შავ მხარეს, ისევ თავისი ფანტაზიებით იქმნის ილუზიას, რომ ბოლოჯერ შეეჩეხა ამ სიშავეს, სინამდვილეში ეს შავი არსად მიდის და უფრო დიდდება, ვიდრე იყო, ამას ემატება მდგომარეობა, როდესაც საკუთარი თავის ნგრევას იწყებ და ცდილობ თავი დააჯერო იმაში, რაც არასოდეს შეიცვლება. შენ კედელს უჩნდება ბზარები, ამ ბზარებს მაინც ღესავ იმის იმედით, რომ კედელი არ ჩამოინგრევა, უბრალოდ რეალობა ის არის, რომ როდესაც ეს ბზარი ჩნდება და გამუდმებით ამ შავთან გიწევს ბრძოლა, ეს კედელი საბოლოო ჯამში თავიდან ბოლომდე წვრილ ნაწილებად ინგრევა და აი მაშინ, როდესაც უსასრულობიდან ჩამოვარდები მიწაზე, მერე იწყებ ყველაფრის რეალურად ანალიზს, აღარ გჯერა სასწაულების, არ გჯერა ადამიანების, არ გჯერა განცდების, გრძნობების, შეგრძნებების და აღარ გჯერა ხელოვნურად სახელდარქმეული და დიდი ფილმის, რომელსაც ქვია სიყვარული. შენს გარშემო ყველას ხელს კრავ და აღარავის უშვებ შენს რეალობაში, რომელსაც რეალურად აანალიზებ და რეალისტი ხდები თავიდან ბოლომდე.

რამდენს გიცნობთ... და რამდენს ჰგონია, რომ გვერდზე ჰყავს სანდო ადამიანი, რომლებსაც საკუთარ დროს ცხოვრებას და ნერვებს სწირავთ... როგორ მეცოდებიან „წყვილები“, რომლებიც ერთმანეთს ერთ დიდ გამოგონილ ტყუილში აცხოვრებენ, როგორ საცოდავები ხართ ისინი, ვინც სიყვარულს ეფიცებით, ნდობას უყალიბებთ და ზურგს უკან ყველაფერს კადრულობთ, რამდენის სიტუაცია და შავი მხარე ვიცი.... როგორი საცოდავები ხართ ისინი.. ვისაც გჯერათ სიყვარულის და ცხოველის, რომელსაც ადამიანი ქვია.

უბრალოდ რამდენს გიცნობთ... გული მერევა...

„მხოლოდ ქართული“ შოთა ლეგაშვილმა დატოვა

მუსიკალური გადაცემა „მხოლოდ ქართული“ კიდევ ერთმა კონკურსანტმა დატოვა. შოთა ლეგაშვილი იმ შვიდეულს გამოაკლდა, რომლებიც შოუს მოგებისთვის იბრძვიან. მაყურებლის რჩეული კი კვლავ საბა კემულარია გახდა.

მეხუთე საკონკურსო ტურში მომღერლებმა 90-იანი წლების ყველაზე პოპულარული სიმღერები შეასრულეს. რუსთაველის თეატრში შეკრებილ მსმენელს საშუალება მიეცა, კიდევ ერთხელ მოესმინა ცნობილი ქართველი მომღერლების ჰიტები: გიგა მიქაბერიძის „ეს ზღვა რომ შავია“, ლელა წურწუმიას „ალალ მე“, აჩიკო მეფარიძის „მშვიდობით“, გიგა აგლაძის „ლამაზი დღე“, მერაბ სეფაშვილის „გაიღიმე“, სტეფანეს და მაია დარსმელიძის „ხელები“ და თემურ თათარაშვილის „მე სანამ შენამდე მოვედი“.

მაყურებლის და ჟიურის გადაწყვეტილებით, ყველაზე ცოტა ქულები შოთა ლეგაშვილმა დააგროვა და ის პროექტს გამოეთიშა.

ოშკში სარესტავრაციო სამუშაოები იწყება

ტაო-კლარჯეთში მდებარე ქართულ ტაძარ ოშკში სარესტავრაციო სამუშაოები იწყება. ინფორმაცია ისტორიკოსმა ბუბა კუდავამ გაავრცელა:

– ამასობაში ოშკში, როგორც ჩანს, რესტავრაცია იწყება,

ვიდრე ჩვენ დიდად მნიშვნელოვანი საკითხებით ვართ გართულნი.

ისევ ქართული მხარის ჩართულობის გარეშე,

ისევ სპეციალისტებისა და საზოგადოებისთვის მოულოდნელად.

ვიდრე ჩვენ სხვის დაკრულზე ვკუნტრუშობთ,

ვიდრე ჩვენ მეზობელ თურქეთთან კულტურული თანამშრომლობა გვაშინებს,

ვიდრე პრიორიტეტები ვერ განგვისაზღვრავს,

მანამდე სხვამ მოიცალა ქართული არქიტექტურის „ვეფხისტყაოსნისთვის“.

ასე ისურვა მისმა უდიდებულესობამ – ქართველმა საზოგადოებამ, ერმაც და ბერმაც!

მავანი იფიქრებს – ოღონდ გადარჩეს და, რას ვჩივიო...

ოშკის გადარჩენა უმნიშვნელოვანესია და მადლობა ამისთვის ზემოთ ღმერთს და ქვემოთ რესტავრატორებს.



თუმცა:

21-ე საუკუნეში, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ქართული ტაძრის რესტავრაცია რომ შენ გარეშე იწყება და პარტნიორ სახელმწიფოსთან საერთო ენას ვერ გამონახავ, ეს ჩვენი სახელმწიფოსა და საზოგადოების უდიდესი მარცხია!

თურქეთში საქართველოს საკონსულოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში კი აღნიშნულია, რომ ოშკის გუმბათის გამაგრებითი სამუშაოების ისტორიულ პროცესში ქართველი სპეციალისტები აუცილებლად ჩაერთვებიან.

– საქართველო-თურქეთს შორის ხელმოწერილი 5-წლიანი პროგრამის ფარგლებში და ქართული მხარის მოთხოვნის შესაბამისად, თურქულმა მხარემ მიიღო გადაწყვეტილება, გადაუდებელი პროექტის სახით დაიწყოს ოშკის გუმბათის გამაგრებითი სამუშაოები ქართული მხარის მიერ გადაცემული ძალოვანი ხარაჩოს პროექტის საფუძველზე. ამჟამად დაიწყო ტერიტორიის შემოზღუდვა და მოსამზადებელი სამუშაოები ხარაჩოს დასამონტაჟებლად. შემდგომ ეტაპზე განსაზღვრულია ოშკის ძირითადი სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოება, რომელიც ზემოხსენებული 5-წლიანი პროგრამის შესაბამისად ერთობლივად უნდა განხორციელდეს ქართველი და თურქი სპეციალისტების მიერ.

სიმბოლურია, რომ ოშკის გუმბათის გამაგრებითი სამუშაოების დაწყება ემთხვევა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების 100 წლისთავს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ოშკის მრავალრიცხოვან გულშემატკივარს და ტურისტულ ჯგუფებს ვთხოვთ, სამუშაოებთან დაკავშირებულ პროცედურებს და ტაძარში შესვლაზე შესაძლო შეზღუდვებს გაგებით მოეკიდონ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ბიონსემ თავისთვის ეკლესია იყიდა

ამერიკელმა მომღერალმა ბიონსემ ახალ ორლეანში 850 ათას დოლარად ეკლესია იყიდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ამერიკული გამოცემა ავრცელებს.

აღსანიშნავია, რომ შენობის ფართობი დაახლოებით 700 კვადრატულ მეტრს შეადგენს, ეკლესია 1900 წელსაა აშენებული, თუმცა, უკვე რამდენიმე წელია, რაც ეკლესიის სახით აღარ გამოიყენებოდა.

პორტალის ინფორმაციით, ეკლესიის შორიახლოს მომღერლის და სოლანჟი ცხოვრობს. რამდენიმე კვირის წინ ბიონსეს ეკლესიაში პირველი მსახურება გაიმართა, რომელსაც 900-ზე მეტი ადამიანი დაესწრო.

სოციალური ქსელების მომხმარებელთა აზრით, მომღერალი თავად შეასრულებს ლიტურგიას, თუმცა თავად მომღერალს ამ ფაქტზე კომენტარი არ გაუკეთებია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯეიმს ბლანტი დამოუკიდებლობის დღეს კონცერტით მოგვილოცავს

26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, ქართველებს ამ მნიშვნელოვან თარიღს მსოფლიოში ცნობილი ბრიტანელი მომღერალი ჯეიმს ბლანტი კონცერტით მოგვილოცავს.

თბილისში მიხეილ მესხის სტადიონზე გაიმართება კონცერტი, სადაც წლის არტისტი ჯეიმს ბლანტი მსოფლიო ტურნეს ფარგლებში ეწვევა საქართველოს.

მომღერალი მსმენელისთვის შეასრულებს სიმღერებს თავისი ბოლო ალბომიდან და, რა თქმა უნდა, იმ ცნობილ ჰიტებსაც ააჟღერებს, რომლებმაც მას ასეთი პოპულარობა მოუტანა.

მაიკო კაჭკაჭიშვილი ბინის მჩუქნელ კომპანიას ვეღარ პოულობს





კომპოზიტორ მაიკო კაჭკაჭიშვილს დიდი ზარ-ზეიმით გადასცეს სერთიფიკატი, რომელიც იუწყებოდა, რომ მას საჩუქრად ბინა გადაეცა, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, მაიკოც იმ ათასობით დაზარალებულთა სიაში ჩაეწერა, რომლებიც თაღლითებმა იმსხვერპლეს.

მაიკო კაჭკაჭიშვილი:

– მაპოვნინეთ ეს კომპანია, ოფისი და ნომრები შეცვალეს, ვერსად მივაგენით..... ასე მარტივად არ გაუვათ ეს ამბავი!

ხვამლის მთაზე არქეოლოგიურ ფენას ბულდოზერით გადაუარეს

ხვამლის მთაზე არსებულ უნიკალურ არქეოლოგიურ ფენას ბულდოზერით გადაუარეს.

ეს ტერიტორია მეცნიერებისა და მკვლევარებისთვის დღემდე ინტერესის საგანს წარმოადგენს.

ხვამლის შესახებ ჟამთააღმწერელი და „ქართლის ცხოვრება“, ვახუშტი ბატონიშვილი და ივანე ჯავახიშვილი ასეთ ცნობებს გვაწვდიან:

„რიონის დასავლეთით, მთის ძირს არის ხომლის კლდე ფრიად მაღალი, მოიგო ამან სახელი ესე სიმაღლით, ხომლის ვარსკვლავის სწორებით, ამ კლდეში არის ქვაბი გამოკვეთილი, მტერთაგან შეუვალი, მეფეთა საგანძურთ სადები; „გორდიდან ვიდრე კავკასისამდე არს ხეობა ლეჩხუმისა, არამედ მოიგო სახელი ესე გარემოსთა მთათაგან, კუერსავით მდებარისა, ხოლო ლეჩხუმი ეწოდა ხომლის მთის გამო ესე არს ლეჩხომი. ოდეს ქვეყანას გაუჭირდეს, ხომლის მთამ გადააარჩინოს.“

დავით ულუსა და ნარინის დროის მემატიანის ცნობა კი ასეთია:

„ამისათვის განიყვნენ მეფეთა ქვეყანანი და ქალაქნი ქუთაისი და ტფილისი ორად, არამედ ხომლის ქუაბსა შინა რაიცა იყო, მცირედნი განყვეს და უფროსი ქვაბსავე დაუტევეს, ხოლო ჯაჭვი იგი სახელდებული, სალმასური და თვალი იგი პატივცემული გრდემლი, და მარგალიტი იგი დიდი, რომლის სწორი არავის-სადა უხილავს. ესეც სამივე რუსუდანის ძესა დავითს მიხუდა.“

კახა ხიმშიაშვილმა გაავრცელა ინფორმაცია და ვიდეო.

– ხვამლის მთაზე ბულდოზერით გადაუარეს არქეოლოგიურ ფენას.

ინფორმაციას მყისიერად გამოეხმაურა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო. მონიტორინგის ჯგუფი ადგილზე მდგომარეობის შესასწავლად გაგზავნა და სამუშაოები შეაჩერა. როგორც გაირკვა, სამუშაოები ადგილობრივმა მცხოვრებლებმა თვითნებურად წამოიწყეს.

სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე გურამ მარსაგიშვილი, შვილები დათო და შორენა მარსაგიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნანული ჩიღოელიძე

პანაშვიდი: ოთხშაბათს, 23 მაისს;
გამოსვენება: ხუთშაბათს, 24 მაისს, 2 საათზე;
მისამართი: ყაზბეგის რაიონი, სოფელი აჩხოტი.

შორენა მარსაგიშვილს ვუსამძიმრებთ დედის

ნანული ჩიღოელიძის

გარდაცვალების გამო.

„ახალი თაობა“

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

23 მაისისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4365

ევრო — 2.8841

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2661

100 რუსული რუბლი — 3.9179

ამინდის პროგნოზი 23 მაისისთვის

სერია თანამედროვე რუსული ბესტსელერი

18 მაისიდან ვიქტორ სუვოროვი **აკვარიუმი**

ეს წიგნი რუსული გრუ-ს საიდუმლო საქმიანობის შესახებ მოგვითხრობს.

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

25 მაისიდან

დინა რუბინა

პეტრუშკას სინდრომი

„პეტრუშკას სინდრომი“ დინა რუბინას ყველაზე დრამატული რომანია. მისი ყოველი ახალი რომანი ბესტსელერია და გამოცემისთანავე ათეულობით ენაზე ითარგმნება.

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

1 ივნისიდან

ვიქტორ პელევინი

სამი ცუკერბრინის სიყვარული

ფეისბუქი, გუგლი, უკრაინა, მომხმარებლის კულტი, ტოლერანტობა, ტერორიზმი, იმ ტრენდებს შორისაა, რასაც წიგნი ეხება.

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

8 ივნისიდან

ევგენი ვოდოლაზკინი **ლავროსი**

სნეულთა განკურნების განსაცვიფრებელი უნარით დაჯილდოებული არსენი სიკვდილისგან ვერ იხსნის საყვარელ ქალს. სწორედ ეს იქცევა მისი ცხოვრების გარდამტეხ მომენტად.

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

BOAI

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით

სერია ნამდვილი დეტექტივი

22 მაისიდან ნაიო მარში **კაცი იწვა მკვდარი**

დეტექტივი როდერიკ ალეინი ინგლისის ერთ-ერთ რესპექტაბელურ სახლში „მკვლელობანას“ თამაშის დროს მომხდარ ნამდვილ მკვლელობას იძიებს. მსხვერპლი მონღოლური წარმოშობის რუსული სარიტუალო ხანჯლით არის მოკლული.

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

29 მაისიდან

ანდრეა კამილერი **წყლის ფორმა**



ზღვისპირა იტალიური ქალაქის უმდიდრესი ადამიანი და არაფორმალური მმართველი პიკანტურ ვითარებაში იღუპება. ყველა დაინტერესებულია ამ საქმით, რომის პაპით დაწყებული, პროვინციელი მოსამართლით დასრულებული.

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

5 ივნისიდან

გილბერტ ჩესტერტონი

მამა ბრაუნის სკანდალური ამბავი

მამა ბრაუნი ჩია, პროვინციელი კათოლიკე მღვდელია, არც რამე სისტემა გააჩნია ჩახლართული დანაშაულების გასახსნელად. ბოროტმოქმედების მხილება მისი ჰობია, რაც ძალიან კარგად გამოსდის.

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

12 ივნისიდან

როს მაკდონალდი შიში



ოთხმაგი მკვლელობა. ოთხი გარდაცვლილი. პირველ მსხვერპლს დანარჩენებისგან წლები აშორებს, მაგრამ მკვლელობა ერთი პიროვნების ხელით ხდება. მკვლელის ვინაობას, რამდენიც უნდა ეცადოთ, ვერ გამოთვლით, მხოლოდ ბოლო გვერდზე ამოიკითხავთ და გაოცდებით.

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

კონტე ჩელსის დატოვებს

ჩელსის მომავალ სეზონში, სავარაუდოდ, ახალი მწვრთნელი ეყოლება. უკვე დიდი ხანია საუბრობენ იმაზე, რომ კონტემ შესაძლოა ჩელსი დატოვოს, რადგან მას გუნდის ხელმძღვანელობასთან კონფლიქტი აქვს. გარდა ამისა, ჩელსიმ ვერ მოახერხა ჩემპიონთა ლიგაში გასვლა, რაც გუნდს ფინანსურად დააზარალებს.

ანტონიო კონტემ ჩელსი 2016 წელს ჩაიბარა და პირველივე სეზონში გუნდთან ერთად ინგლისის ჩემპიონატი მოიგო, მაგრამ წლევანდელი სეზონი ჩელსისთვის წარმატებული არ აღმოჩნდა. კონტე, სავარაუდოდ, იტალიაში დაბრუნდება.

გრიზმანს ატლეტიკოს ფანებმა დაუსტვინეს

ანტუან გრიზმანი ძალიან ახლოს არის ბარსელონაში გადასვლასთან და, ბუნებრივია, ეს ინფორმაცია ატლეტიკოს ფანებმაც იციან. ამის გამო მათ გრიზმანს დაუსტვინეს ეიბართან შეხვედრის დროს, რამაც ფრანგი ფეხბურთელი ძალიან გაანაწყენა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ეიბართან მატჩის შემდეგ გრიზმანმა საბოლოოდ გადაწყვიტა ატლეტიკოდან წასვლა. ბარსელონა გრიზმანის ტრანსფერში 100 მილიონი ევროს გადახდას აპირებს და გრიზმანი ოფიციალურად ბარსელონის ფეხბურთელი ზაფხულში გახდება.

ზიდანი: „რონალდუს სალაჰში არ გავცვლიდი“

ზინედინ ზიდანმა ჩემპიონთა ლიგის ფინალამდე რამდენიმე დღით ადრე კომენტარი გააკეთა და თქვა, რომ სალაჰს ის რონალდუში არ გაცვლიდა, თუმცა აღნიშნა, რომ სალაჰი ძლიერი ფეხბურთელია:

– ყველა მოთამაშეს თავისი ინდივიდუალური თვისებები აქვს, მაგრამ ჩემთვის რონალდუ იდეალური ფეხბურთელია, ამიტომ არავისში გავცვლიდი. რაც შეეხება სალაჰს, ის ლივერპულის ლიდერია და მას უნდა ვუფრთხოდეთ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ხელისუფლებაში მინდოდა სამსახურის დაწყება...

– მერე?

– მეკითხებიან: რისი გაკეთება გეხერხებათ? მე კი ვუპასუხე: კარგად ვცეკვავ, ბადმინტონს ვთამაშობ და ღვინოსაც ვსვამ.

– მერე?

– უარი მითხრეს, ეგ ადგილი უკვე დაკავებულიაო.

●●●

ხალხს, რომელიც ძველით ახალ წელს აღნიშნავს, ძველი ახალი ხელისუფლება არ უნდა უკვირდეს.

●●●

ორი მამაკაცი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– რამდენადაც მახსოვს, ყოველთვის ვსვამდი.

– გუშინაც?

– არ მახსოვს...

●●●

მომაკვდავი ქმარი ცოლს ეუბნება:

– ძვირფასო, სანამ მოვკვდები, მინდა რაღაცაში გამოგიტყდე.

– არ გინდა ძვირფასო, დამშვიდდი.

– უნდა მოვინანიო.

– არ არის საჭირო...

– მინდა სუფთა სინდისით წავიდე ამ ქვეყნიდან! ვიწექი შენ დასთან, შენ საუკეთესო დაქალთან და დედაშენთანაც კი.

– ვიცი, საყვარელო, და მაგიტომაც ჩაგიყარე საწამლავი საჭმელში.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– სახლი ტარაკანებით გამევსო, ყველგან არიან და არ ვიცი, რა მოვუხერხო.

– ტარაკანების ცარცი იყიდე.

– რა, შველის?

– რა თქმა უნდა, აგერ, შეხედე, კუთხეში ცხედან და ხატავენ...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ა

შვეულად: 1. სამრეწველო რაიონი უკრაინაში; 2. სერბი ჩოგბურთელი მამაკაცი; 3. ლიტერატურული ან მეცნიერული ნაშრომის კრიტიკული შეფასება; 4. ბოსტნეული მცენარე; 5. ერთი პროფესიის ხელოსანთა გაერთიანება ძველად საქართველოში; 9. კუნთების კრუნჩხვითი შეკუმშვა; 11. გემის ან თვითმფრინავის დაქირავება გარკვეული წესითა და პირობებით; 12. სითხეების, აირების მინარევებისგან გამწმენდი საშუალება; 14. მე-17 საუკუნის გერმანელი ასტრონომი; 18. ავტოდრომი იტალიაში; 19. ტვირთბრუნვით ირანის ყველაზე დიდი ნავსადგური.

თარაზულად: 4. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ვანის რაიონში; 5. ჩქაროსნული ავტომაგისტრალი; 6. ბერების საცხოვრებელი სათავსო მონასტერში; 7. მოსავლის ამღები კომბაინის წინა სამკალი ნაწილი; 8. სადაზღვევო მოწმობა; 10. ნავსადგური უკრაინაში; 13. ალუბლის ერთ-ერთი ჯიში, იაპონიის სიმბოლო; 15. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული რელიგია; 16. შტატი აშშ-ში; 17. საცხენოსნო შეჯიბრება; 20. მინერალური წყალი ბორჯომის ხეობაში; 21. მახრჩობელა გველი; 22. უნგრელი მოჭადრაკე დების გვარი; 23. სამხედრო ფორმის ტანსაცმელი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა